

619 /
1990/2

ISSN 0130-1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აქროზა

დოქტორი
№ 12 1990



ესრეთ ბრწყინებულ ნათელი თქვენი
წინაშე კაცთა, რათა იხილენ საქმენი
თქვენი კეთილნი და აღიდებდნენ მა-
მასა თქვენსა ზეცათასა...

მათე V 16

დიდება უფალს, რამეთუ მადლი ღვთისა ჩვენზე
უნმინდვის და უნეტარების სრულიად საქართველოს
კათოლიკოს პატრიარქის ილია II სახელით აღესრუ-
ლება: მწყემსი კეთილი მამამთავარი, რომელმან „სუ-
ლი თვისი დასდვის ცხოვართათვის“: აღსაყრდების
პირველი დღიდან (1977 წ. 25 XII) ფიქრი და საზრუ-
ნავი, საქმე და საკეთებელი არ მოკლებია მართლმა-
დიდებელ ქართულ ეკლესიას და მის საქმემპყრო-
ბელს: საეკლესიო გამოცემები, ჟურნალები და საეკ-
ლესიო კალენდრები, ეპისტოლეები, გაზეთები, სა-
მღვდელთმსახურო წიგნები, კონდაკები, ჟამნები,
ფსალმუნები, რომლებიც ყველა ეკლესიას უნდა
ჰქონდეს. საეკლესიო ჭურჭელი, რომლის გარეშეც
ღვთისმსახურება ძნელდება ან საერთოდ ვერ ხერხ-
დება: უამრავი ნაცნობი, ახლობელი, ნათესავი, დიდი
და პატარა, ყველას ყურადღება, თბილი სიტყვა, გზა-
ზე დაყენება სჭირდება: ამასთან შეერთებული და
აღსრულებული წირვა-ლოცვები, პარაკლისები, ქადა-
გებები, მოგზაურობები ეპარქიებში, სწეულთა მონა-
ხულება, ტყვეთა და პყრობილთა ნუგეშისცემა, ერის
თანადგომა ძნელბედობისას, ბიბლიის თარგმანები
და გამოცემა: რომელი ერთი უამრავთაგან ჩამოსა-
თვლელი, რაც სიტყვით არცთუ იოლი სათქმელია,
დროში კი განელილი, მოთმინებას, სიმშვიდეს, ძალა-

სა და ღვთისგან შენვენას მოითხოვს, რომელიც
იოლად არავის მიეცემა (მით უფრო პატრიარქს. რა-
მეთუ პატრიარქობა მძიმე და დიდი ტვირთია და ვი-
საც ბევრი მიეცა, მას ბევრიც მოეთხოვება): „საქმე-
მან შენმან გამოგაჩინოს შენ“: სიტყვაზე უკეთ საქმე
მეტყველებს: ენა ბრგვილია და ვერთავსმდებელი აღ-
წერად: საკეთებელი კიდევ ბევრია. გასამართი და
მოსაწყობი უამრავი: სემინარია-აკადემიის სტუდენ-
ტობა, ახალი თაობის აღზრდა, ეკლესია-მონასტრე-
ბის აღდგენა-გაძლიერება: ერის გაერთიანება, ერთ-
სულოვნება: განმტკიცება ქრისტეში, სარწმუნოება-
ში: „გზა გოლგოთაზე, ჯვარცმა, აღდგომა“, — მიზა-
ნი უპირველესი: „მტკიცე სარწმუნოებაზე აშენებული
ეკლესია“ კლდესა ზედა დაშენებული: მართლმადი-
დებელი ქრისტიანი ერის სულს „ბჭენი ჯოჯოხეთი-
სანი ვერ ერეოდიან“, ხე კეთილი ნაყოფს კეთილს გა-
მოიღებს: „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყო-
ველთა“ ამა ნათლით მოსილი მწყემსი კეთილი რო-
მელიც ხედავს თვისი სამწყსოს კეთილმუშაკობას,
მონდომებას, თანადგომით გაძლიერებული, ზღვასაც
ფეხით გაატარებს, და უდაბნოც გაილევა, მიზანიც
მიიღწევა: „... რათა იხილნენ საქმენი თქვენი კეთილ-
ნი და აღიდებდნენ მამასა შენსა ზეცათასა“.

თანადგომა, ღვთისა დიდებაა: ღმერთმა დალო-
ცოს და მეტი შეაძლებინოს პატრიარქს: ყოვლად
წმინდა ღვთისმშობელი ფარავდეს მას და სრულიად
საქართველოს:

„ნეტარ იყვნეთ... რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ
არს ცათა შინა“

ამინ:.



მამულს, საუკრავლო!
ქართული
ენისწილთა

დროშა

№ 12 დეკემბერი, (408), 1990

ეთვალთვიური საზოგადოებრივ-
კოლტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

ნო მერუი:

ნათელა გიორგოზიანი. ჟუთათური
ჩანაწიკები.
დავით დემეტრაშვილი. უცხოვლა-
ნებლები და კაცობრიოვა.
მერაზ მიქელაძე. „გერბა“.
რამაზ სურმანიძე. ბერლინი, 1918
წელი.
გიორგი ხორაუაშვილი. თევდოკე
თავდადებული.
თენგიზ გოგოლაძე. მარტივი არით-
მეტიკა (გოთხროვა).
ალექსანდრე გოგოვსკი. ორულები,
თვითმარკვიები თუ ისტორი-
ული კიკები.
გიორგი გარეჩილაძე. ქართველი
ემიგრანტის ლექსები.
ქეთრინ მენსვილდი. მის ბრილი.
კანოკამა.
გორის კანდელაკი. თამარ მუფის
მეხუთე კორტიები.
კროსკორდი.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი


ოთარ ქინელაძე

საკრედიტო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი),
ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვებაძე, ნათელა
გიორგოზიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ
ესპანჯია, ჯემალ მხარეშვილი, დინარა
ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსო-
ნაძე.

დროშა 1

საქართველოს
სროვნული
გიგლითეტიკა



19346

ნათელა
გიორგობიანი

სასურთარ კანდიდატად უნდა მანდატადი —
საქართველოს კომუნისტური პარტიის
ხელისუფლება.

საკანონმდებლო

დგეგმიკულ მონქს თვისინ ტუკოპი
და სისაროი აჭვის მისი
მრავლშინანებული წარსული
არის და აფორიატილი დღევან
დელიმაც.

თითქმის არაფერი შეცვლილა. ისევ ისე
გამორიდანია მდინარე რომინ მთისებრი
სიკუ ისევ ღრუს საფარიის სურთ. ცულოინ
დღებრად წყაროინ და ვარკარილიევე
ბი და ვიცის, მაგრამ შორული წინაპრები
რომ არ შევარუხთო, უკვე მოვარუნად
კველით აცის ქეთისით, ცისებრან-
წულით ქეთისით. მათი საიდუმლოს ახლ-
ვარის" დამბრულ ხეთა ხევიანი ინახეს
მოხლოდა.

ცხოვრება კი მიდის და მიდის ახალ
კოსმოპირში.

საქართველოს მთელი ქალაქი თავის
სიტყვას ამბობს.

სამქველი ბეგრია.

საქველი დამაფლული ქალაქი — სა-
ვერომობილი ქარახანა.

ქალაქი ქალაქში. სხვაგვარია ვერც დე-
ვარკამეთო ასობით ასის ვადარტულ
მეტრი ტერიტორიას, დღესამდებულს ით-
ომისმეტრ ასობზე მეტი დანადიანით, სასაქ-
რობებით, კონფიგურებით, მანუკითა და
ხევივებით.

წარმადებელი, მილიარდობით მოგება,
ხარისხის სახელმწიფო ნიშნის.

ახლოდ ისევ წარსული.

ახლო, მხელი სანა თომბოიან წლებე-
ბი დასაქრო სავერომობილი ქარახანის ის
ქროიათინა. რეკონსტრუქცია. დასავლეთი
ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანის—
ავტო—4540, მისი მანქანელები და წა-
ვერომობილი სახლი.

ეყოთი თანდათან შევიდა შეუჩვევილს
— თანამას წამებამის გადაცა.

მიხევა? ბეგრე ძენია არ დამბრულე-
ბათ: ქარახის პროდუქცია გასაყიდო
ფასის მრავლობა თეთრობივრებობლებზე. ვი-
დაცას მეუღლეს აზრად, რომ მისი დედა-
ანბარაშენიანა თუც ასობ მანქანის სიმ-
ძარცვრეზე. ქარახანა კი ყარგებობით წუ-
ლიურებით მზელი ასობ მანქანის მოსე-
დურებითაა. წლითობით აზრებს ანდობლეს
თომბოიან თასად მუდგანდობი მანქა-
ნა ფაქტორებოდ თეთრობიტ(ქარახანა)
ასობი მანჭოთი რომ დანა. არც ის, წლით
თეთრობით მანქანისათვის აუცილებელი
პროდუქცია არც მჭირდება და არც
ანაბობდარხი ხარჯებს ინტენსივობებზე.

რამდენი ვინაა, წყურე და ამბოციკ
ყველაფერი რჩება მისა დაბადობლისა.
წყვილილი კი მტკიცებოდ ფშავებს. რაჟი
ქარახანა სავერომობი დამბრულმანქანისა,
საქართველოში არაფერი წლებუნა.

ასეა, როცა საყუარო ბელს თავად არ
განდებენ.

ახლო ეკონომიკი კი მიდის თვისინ
მკაცრი და ღღობითი კანონებით. ცხო-

გამთვინა, ხორციელ ქეთისით საავ-
ტომობილი ქარახანა მუხანს.

ერთი რამ კი ცხადზე ცხელია — თა-
ვის ბელს ქარახანა თეთრობი უნდა გა-
ზაბებუნა.

წ ა ნ ა ა

ვინ იფიქრებს, რომ აქ იცდაათინ
წლებშიც ყველაფერი ნაწმინდის უყოფილია
და ჩვეულებრივი მანქანებით დასაქო.
თავი სახდობრარაქობის ფირმაში გე-
ვინგობა. სხეულივით ტექნიკის უახლ-
ესი სხეულივით ღრებზე.

სავერომობილ ვარჩინებელია. იმერეთ-
ში" ახალი მანქანების მომდევნო ცხელი
წლის ნიშნებში შეუდგენი შევარკის
ფირმა "ინტერპოსტარქს" მინაწილო-
ვითაა.

შეშინებენ გერმანული და იტალიური
მანქანები, ჩართულია სხვადასხვა ფირმის
მოიარე ტრანსპორტი, კომპიუტერული
სისტემა.

მისმედედ დამაინთხ სახელებზე, თეი-
ვადარებია. "უკვეან" მანქანებში ამჟინ
ჩანახ ვიხლება. სასამართლო სადადგარ-
ები ზუსტად ამტკიცებენ თავიანთ
მნიშვნელობას. ქსილოვის დღევან-ბომბე
შეწარმულად ხედვას. დამბრუებების სო-

ჯუსნასაუნია ხრახუნებუ

სიტყვი აფტომობტურია. აქ შევიკრილი მა-
ნაკვის შარბელით, ხელთეფერი მეურქის
პოლოტიკის ტანადრუდი სიტყვერები,
ქართულები თუ თსაღვანი უფულო ვაე-
რეკის ვინრეგულირების უფსერები ფირმე-
ების ნაწარმი, ხელთეფლის პრობლემა რომ
არა... ადგარ ტექნიკის ქსილოვილ შესა-
დგინი სურვებია. ჩოკარე შეთავრმა
ინფინერმა პაატა კლიდიაშვილმა აფგინისა,
ამჟინტეკურია უალსრებს პრეტენიზი-
ლით არის. მაგალითად დღევანი და ახლ-
ესა უნდალი რომ მოხდეს, თურქუ დასო-
ფლის ასობრეკადამბრეტირია წინააღი-
და იყოს, თანაე ისეთი, წუნი რომ არ ექ-
ნებოდა.

რაკი ქონებრებობაზე ვლბარობათ,
ქართული ქსილოვილ უნდა ამაყოფილდეს
ქართლ მომთავრებს. ამჟინტეკურ დონეზე
ხომ უნდა დადგეს მისი წარმოებამა.

გარეთინებამს კი ამჟინდა მთელი ცე-
შირი ამჟინტეკურია. შემტრინილიათ, ცე-
ლი, ოღუვა, შესვარკება, ქრობა...

ყველაფერი კი ერთმანებრება განაფა-
ველი. ერთი დარტული რომ იყოს უფარ-
ობები.

სურვილი კი დლიდა. გარეთინებამს
ნაწარმა სიმორბეტილი უფსერებიდენ ქარ-
ხანაზე, დარებრეტრესლებ ეცხოვრება.
სხვაგვარად რა ამის ექნებოდა იმ ქა-
ნისა, რომელიც მსუბუქე მიურეგულირ-
ებლობისა და თავად ვენერალოვანი
სამბრეტრომა გუგარონა შევიგობად იმ სა-
ვერომობილი წყუქმანი მომბარბის.
რეკონსტრუქცია დასაქრული ქრობა —
ლოინდინდი ცოლიც ხომ ვინადასტურებელია...

თენებმა კი მანტი უჭლის ვინრებს. თუ
ხინცერე შევიგობდა თობილობსაქ, რა-
ცია სახდობრებოდ გავა ელტესი მარტო

და ვარეთინებამს კი არა, ქსილოვის მჭირაგუ-
ნევილ მიიღებს. ეს ყველაფერი კი დოგ-
რობებუდა ჩვენს სურათს სახსობ.

არც მთლად უნებნადია რი ოციენბა,
რაჟი პროდუქცია ვერ მოხლოდ უნდა-
ცდის, მაგრამ მოლაბარაკება მიმდინარე-
ობს ანადასთან და ამერკასთან.

ნეტეი...

ახლოდ თამიზუფლი ბასცილით

ვენერალური ვინტეკრის ზურან ბელ-
ქანეს რომ ვას-უფებრებთ, მერე აზრზე შე-
ქის საწვარობი საეფიერო-სამედიცინო ვა-
ერეთინებების ტერიტორიის უფსერ-უფსერ-
ლი შეიხადებ. აველად განახლების სულ-
ლი რომ ტროპლეს. მინიმე იფრინობთ.
აქ ამ უღრეს საწვარობა, სხვისი მოი-
ველითობ კარ ცხოვრებთა.

ხენება სრული ვაგაიორებამა.
მუნებრებ ახალ ვასელებუ ფაბრიკას,
წარმოება მომებებინათა.

ვენერალური ვინტეკრის კი მანტი
პრობლემათინ იწყებს. ყუდილი მთავა-
რ მტეციხეობა. საწვარობა მომავ-
ვარევილი. რა ეწინარეობა და მალსი რი-
ბები ხეიმდელეფანისაგან თუნდეს სოქო-
ვლირი პრობლემა. მით უფლებს, თავადე
კარგად იყოს, რომ უჭმეს ლოტინი სო-
ტეკები არ სურებოდა. მასზე, მის ოჯახ-

არა, ასე ვაგრებებუდა აღარ შეიძლება.
მოპირებულ მანტი ტროპლეს არ გამოა-
დებია საბარბი ეკონომიკის, წარმოება ან-
და ქონდეს თეთრეფელი ვაცილის სასაშ-
ვლები.

ასეა რომ ხამ ვინარებად...

ვლადე გამბეხილი სჯობს — სასაშ-
ვლიბრივი ავეტის კომპარატებს რომ
ვაკვივებ. გულში უცსამი გრძნობა გვე

— შევიგობრებ ნაწილურს ცხელა
კარაჟი და შევარკობ რომ არ ვა-
შოიფეთინა. — ვენერებრე ჩატრედი []
სურეფითი. — სავერომობი არა ვინცეფიც
ყველა რომ ასე ვინცეფიც...

**სომხი ხამ მამრომობილზე ო-
სტინაღორი ვაწმინტარობის
აქმნისლიბრა...**

ეკონომიკური მართვის მექანიზმის
გარდაქმნა და სრულიყოფი უპირველი
ამოცანაა. მიზლით საშვერებო ახგარო-
შის დადებით ენებმა ქალქის როგორე
თეთრობადგინების. ისე თეთრობად-
გინების ანბარი.

წარმოების მიკროლემის მატება.
პროდუქციის ხარისხის, რეზერვების სრულ-
ობის ნებისმიერ შემთხვევაში — ეს აუცილებელი პრი-
ციპებია.

სამრეწველო დანიშნულების ახალმშე-
ნებლობის რიზიდენსა. სამდვიფიფი. ბეგრის
ხრახუნადე ვადართობილი და რეკონ-
სტრუქციაზე. უკვე მომზრბდა სამრეწველო
პროდუქციის ზრდა ასე, რომ ვაგადად-
ანდებოდა მთლიან მიყუდებულს მისი წი-
ლი შეტევირება.

ყველა გრძნობება კი პრციკელი.

ეკონომიკური სუფობა და მეცოერმას-
ლოტიკური დარბების ვაგაიორებობა და
მეცოდეს ამჟინტეკურ. ეს არის ვაგაგრაგმე-
ლობა. ზუსტი ხელსაწყობების, ვაგაიოლო-
ლით და კომბინტურული ტექნიკის გამო-
ვება სახელობი შეურცხობის საქმლის წარ-
მოების მჭვიფობი ვაგაიორებობა.

ტერიტორიულ-სამეურნეობათამოროსი
გარეთინებმა ქალქის სამრეწველო საწარ-
მოებთან და ორგანიზაციებთან ქმნის ერთ-
ობლივ საწარმოებს, რომლებიც მილიო-
ნობით მანჭოს პროდუქციის უჭეებენ.

ამგვარი საწარმოების ქსელი ფართო-
ვდება.

მაგალითად, დასამარება პროდუქცია და
უფსერებს ხანში დაწევადა მსუბუქე აფი-
პობილების საჭარო მინების დამამზად-
ებელი და რომის კასკადის სუგების ვაგა-
საცივებინად ნახაბის ამომბეტი და მძა-
ლიდობელი მტერი საწარმოების სასაშ-
ვლები. საშვერებობა. მათი ვაგაიორებული
პროდუქციის წლიური მოცულობა 1992
წლიდან — მთლიან ლიბრის მოსებზე და-
ნება. შედგენს ორ-მთლიან თანამებდე-
ვიყოლი ვარკობება 25-28 მილიონ მან-
თად. საწარმოების ინფრესტრუქცია თანამე-
დობს სამსოფლიო და სახლგარეშოველი,
ეკონომიკურა სუფობა ტექნოლოგიით.

საგვარი ეკონომიკური ურთიფობებუ-
ნი და მარბინა-ვაგარამეების მიზნით ტერი-
ტორიულ-სამეურნეობათამოროსი ვაგაიორ-
ბებისად შექმნილი და სათანადო სე-
ტრებულად გეგმობა ფირმა, ინტერსებობა, რომ-
ელიც შეეშობოდაც ისრაელ-ცენტრისი ერთ-
ობლივ საწარმოთათ "სტრატეგიკთან"
დაარსი ქეთისითი დილოლია არაგო". პარი-
ტინობრად ტერიტორიულ ვაგაიორებობას
ერთად წარმოდგენილია ქეთისითი ავეტის
კომბინატი.

ზღურეფობათ პარტნიორობითი შევიგმა-
ეთრობული საპროექტო საწარმო ინტე-
ვი. ეკონომიკის სასარბებო შედეგებისად
ეწევადა ვარჩინების, სამეცნიერო, მეცია-
ობის, ბეგლობის, ისრაელისა და სხვა ქვე-
ყენების საქმიან წყუქმანი წარმომადგენლებ-
თან.

ესენი ურთიფობობობებში ვაგაიობთ ქალქის
ეკონომიკური პოტენციისათი ამპოლემის
რეალიზაცი უზრუნველი.

წინდება. ვაგინებობა, რომ დამაი სიმრავ-
ლით ერთბა ვაგეფიერა ხამაჩი, დღევინ-
ტად აქცია აუცილებელი მოთხოვნილობის
პროდუქციებმა... ამ სვედამ შემხაილა კო-
მუნისტური რეჟიმის ზღურების ექით,
მაგრამ ამგვარი დასწვენებებისათვის
უჭველიერ წამაშვდებ და სოქოვლარევე
მთის მომსახ დაბადებოდა. მიწის ქვე-
ტრასკვად მოწეფობი დარბაზებში ყვე-
ლაფერი უბრალო, ლამაზი და ვემე-
ნადობი.

თთარ ყურავილი და გბილობი ნემსო-
წყვიტების დიდი ჟამა ვადუბანობით, სა-
ნამ ამ ყველაფერსა მიურეგულირ აფგოს
ვაგაიორეკლემდენ ჩინე ყველაფერი.
დამბრუება. მათი მთლიანობი ველი ქარ-
ხანა. ამ ვაგოს ვადანდა არ ვაგვირებობ
დღემშეშისსალთან კოლტეკები. მაგრამ
მთავარი სხვა რამ არის. ეს შეშვისავა-
ნი ბაზარში ნაყიდი პროდუქციებინად
არ მოდის, თთარ უჯრავილება და მის-
მა თანამშრომლებმა თთავიანდე საყუარ-
ის მუდგინობის მიმუხეხილ თეთრებს.
წინადადებების რაობით, სოთვე მალა-
ნი არეიტი უნდა მისა. სავე ვაგაიორე-
ბებამ მათი ფარგლებს, ექვე მოიქე-
შნა რეი ტრასის მიწით ასე ვანასავე
სასინდინევი კი საყუარო ავეტი.

მსვილინობა პრციკელი, ღორები, ინ-
დაფურები, თებები; ქაშობინ, იფეები მრავ-
ლედი არის "ლაზხენის" ფერებიანი. ზაფ-
ხლითობი საქმიანი მომეში მიკავებ.

საყუარო მინიობრებული წიქაქრე-
ფეხევენი, საყუარო მინიობი აქტივები. თთი-
ქმის ყველაფერი საყუარო ვაგაიორე მი-
მოდგეწული სასაგარეშო შემთხვევების
წინადადებებ დარბეტირია და ვაგაიორების
მოთხოვნილება დლიდა, მაგრამ გზა

დაზით ღირს ამაზე დაიფიქრება.

— მიღებული ვინცეფია და აზბით თქვენც
ვანცეფიებრებთ. საგარეშო უნდა არის
მოთხოვნილება ჩვენს პროდუქციებზე —
ვეწვევებ დარბეტირია და ვაგაიორების
მოთხოვნილება დლიდა, მაგრამ გზა

დაზით ღირს ამაზე დაიფიქრება.

— მიღებული ვინცეფია და აზბით თქვენც
ვანცეფიებრებთ. საგარეშო უნდა არის
მოთხოვნილება ჩვენს პროდუქციებზე —
ვეწვევებ დარბეტირია და ვაგაიორების
მოთხოვნილება დლიდა, მაგრამ გზა

დაზით ღირს ამაზე დაიფიქრება.

— მიღებული ვინცეფია და აზბით თქვენც
ვანცეფიებრებთ. საგარეშო უნდა არის
მოთხოვნილება ჩვენს პროდუქციებზე —
ვეწვევებ დარბეტირია და ვაგაიორების
მოთხოვნილება დლიდა, მაგრამ გზა

დაზით ღირს ამაზე დაიფიქრება.

— მიღებული ვინცეფია და აზბით თქვენც
ვანცეფიებრებთ. საგარეშო უნდა არის
მოთხოვნილება ჩვენს პროდუქციებზე —
ვეწვევებ დარბეტირია და ვაგაიორების
მოთხოვნილება დლიდა, მაგრამ გზა

„ტერმ“

გარგვესეველთა გრძელი გზა

„ასაკ მცირესა ცხენსა — გერგე“ ეწოდება“. საბას ეს სიტყვები მაშინ გამახსენდა, როცა ბიბლიაში წავაწყდი გერგე სეველთა სატომო სახელს. იგი საკმაოდ ხშირად მეორდება ერთიდაიგივე სახელების გარემოცვაში. მაგალითის სახით დავიმოწმოთ, თუნდაც, ეს აღვლიო: „და თანამიჯვრისნი ანგელოზი ჩემი უწინარეს შენსა და განასხნეს ქანანელნი იგი და ამორეველნი, ქეტელნი და ფერეზელნი, და ეველნი და გერგესეველნი და იობოსელნი“. რამდენადაც სატომო სახელების სიაში იხსენიება „ქეტელებიც“ (ე. ი. „ხეტები“), ამდენად საფიქრებელია, რომ გერგესეველთა სახით საქმე გვაქვს ბიბლიამდელი ხანის რომელიღაც ეთნიკურ-პოლიტიკური გაერთიანების ნამსხვრევთან.

თუ სად ცხოვრობდნენ გერგესეველნი მანამდე, ვიდრე აღმოჩნდებოდნენ „ქუეყანასა მას, რომელსა გამოსდის სძე და თაფლი“, ამის თაობაზე შეიძლება ბევრისმთქმელი აღმოჩნდეს სატომო სახელი „გერგითი“. ჰეროდოტეს ცნობით „გერგითი-ტევკრები არიან“, ტევკრები კი — იგივე ტროელები. ახლა უკვე „გერგესეველთა“ კავშირი „გერგესა“ და „გერგითებთან“, ფონეტიკური მსგავსების გარდა, შინაარსობრივადაც გამართლებული ჩანს. მართლაც, თუ ტევკრების სახით ვიგულებთ კავკასიური მოდგმის ტომს, მაშინ, ტოტემური ტრადიციების გათვალისწინებით, გერგითების სატომო სახელის მიღმა, ბუნებრივია, „გერგე“ ანუ „ცხენი“ დავინახოთ. ასე გვაფიქრებინებს ის საბედისწერო როლი, რომელიც ცხენმა შეასრულა ტროელთა ისტორიაში.

„ენეიდის“ უკვდავი ავტორის ვერგილიუსის სიტყვით „ცხენი... ძველი რწმენით (ხახვასმა ჩემია—მ. მ.) ტროელთ შემწე“ და მფარველი იყო. ტოტემი ბუმერანგივით მოუბრუნდა თავის მრევლს. წელში გატეხილმა გერგითებმა ლტოლვილთა მწარე ხვედრი გაიზიარეს. ერთმა ნაწილმა (გერგესეველებმა) ტიგროსისა და ეფფრატის სათავეებთან დაიდეს ბინა. მაგრამ მშვიდობა და მოსვენება არც აქ ეწერათ. ეგვიპტიდან „სძისა და თაფლის“ იმედით მოიწვედა ებრაელობა. აქედანაც უკუიქცნენ „გერგესეველები“ და კავკასიისკენ აიღეს გეზი... საფიქრებელია, რომ კავკასიასთან მათ აკავშირებდათ შორეული წინაპრების ხსოვნა და სისხლის ყვილი. თითქოს ამას უნდა მოწმობდეს „თოვლ-ყინულიანი“ გერგეტი და ქედის გადაღმა ანტიკური ხანის „კერკეტაე“, რომელიც შუა საუკუნეებში „საჩერკეთში“ შეიცვალა. „გერგეტულათიც“ გვმართებს დაინტერესება. გამორიცხული არაა, რომ ეს „მოხვედური სამხმინი საფერხულო სიმღერა“ არის ცხენის ტოტემისადმი მიძღვნილი რიტუალური საგალობლის ფრაგმენტი.

ენეასი — ტროელთა გელადთაბანი

ტოტემური ტრადიციების შესაბამისად ტომის ბელადის სახელი ჩვეულებრივად ემთხვევა ხოლმე ტოტემის სახელს. ეს ამჯერადაც ასეა. „ენე“ — „ენეასი“ ნიშნავს „ცხენს“. ქართულში მოგვეპოვება „ენეს“ სამი ფონეტიკური სახესხვაობა: უნე, ჰუნე და ონე („გვარიანი და კეთილად წრთვილი ცხენი“). „ენე“ — „უნე“ — „ონე“-ს ფონეტიკურად მსგავსი ტრიადა მოცემულია, თუნდაც, სიტყვებით: „წელან — ძულან“ და „ძოლან“. იგივე კანონზომიერება შეინიშნება სატომო სახელებშიც, როგორცაა, მაგალითად, „მესხი“ — „მუსხი“ — და „მოსხი“, ან კიდევ „გელსი“ — „კულსა“ და „კოლსი“. ამრიგად, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ოდესღაც, ისევე როგორც „უნე“ და „ონე“, „ენე“-ც ცხენის სინონიმი იყო. ასე გვაფიქრებინებს აგრეთვე „ენიოტი რომელმან ცხენი კეთილად განწურთას“ (საბა). როგორც სიტყვისავე აგებულებიდან ჩანს, ენიოტებს ევალებოდათ ენეთა, ანუ ცხენთა გახედნა — „ოტება“.

ენეასის სახელთან დაკავშირებით (მისი ტოტემიზმის პოზიციებიდან გამომდინარე თვალსაზრისით) საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ჰომეროსის „ილიადა“. კერძოდ, ყურადღებას იმსახურებს ენეასის უფროსი დის სახელი — ჰიპოდამია. ე. ბენეენისტის ცნობას თუ დავემყარებთ, ეს სახელი შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „ცხენთა მომთვინიერებელი“, ანუ „ენიოტი“, თუმცა ამჯერად პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინის მიღმა უფრო გამართლებული ჩანს დავინახოთ „ცხენთა ტომის“ წინამძღოლი ქალი. ამასთანავე, გამორიცხული არაა, რომ „ჰიპოდამია“ წარმოადგენს ადგილობრივი (ტევკრული) სახელის ბერძნულად თარგმნილ ვარიანტს.

მეორე საკუთარი სახელი, რომელიც აგრეთვე იმსახურებს ყურადღებას, გახლავთ „კებრიონეს“-ი. ასე ჰქვია ტროელთა სახელმძღვანელო გმირის ჰექტორის ნახევარძმასა და პრიამოსის „უკანონო“ შვილს. ძმები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძვიან. კებრიონესს საბრძოლო ეტლის მართვა ევალება. ჰექტორი კი მოისარია. ძმათა შორის ფუნქციების ამგვარი განაწილება მოხდა მას შემდეგ, რაც ჰექტორს ბრძოლის დროს მოუკლეს მამაცი „მეეტლე“ არქებტოლემუსი და კებრიონესმა შეცვალა იგი. კებრიონესის სახელი პოემაში ცამეტჯერ მაინც გვხვდება. სიტყვის აგებულების ანალიზი ამჯერადაც გვაფიქრებინებს, რომ ბერძნებმა საკუთარ სახელად მიიჩნიეს პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინი — „მეეტლე“. მართლაც, სიტყვის ფუძე შედგება ორი ნაწილისაგან. „კებრი“ და „ონე“. ამათგან პირველი იგივე „კევრია“ და ეტლის სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება

„ონეს“, იგი, ერთი შეხედვით, განმარტდება არცაა საჭიროებს, როგორც უცილობლად ცხენის აღმნიშვნელი ტერმინი. მაგრამ, ამათგან ბოდა წერტილის დასმა, მაგრამ, ამათგან მაინც საჭიროდ მიაჩნია გაიხსენოს იგი, რაც ხიშვილის გამონათქვამი:

„სუმერებს და სხვა ტომებსაც უძველეს ხანაში ვირი ჰყავდათ, ცხენი კი არა... ცხენის სუბერული სახელი „მთის ვირსა“ ნიშნავს... უცილობელ ჰუმარიტებად კი ითვლება, რომ ვირის ბერძნული სახელი „ონოს“ ბერძნული სიტყვა არ არის, არამედ იგი რომელიღაც აზიური ენითგანაა შენათვისები.

ამ საკითხის განხილვის დროს არავის ყურადღება არ მიუქცევია იმ საგულისხმო გარემოებისათვის, რომ ძველ ქართულში XI საუკუნემდე ცხენს ჰუნე ეწოდებოდა... რაც ბერძნულში აზიური ენითგან შეთვისებული ვირის სახელი „ონოს“-ია.

ამრიგად, გამორიცხული არაა, რომ ცხენის აღმნიშვნელი ტერმინები: ენე, უნე, ონე და ჰუნე, ისევე როგორც გერგე, ეკუთვნიან ქართველურ და ქართველურის მონათესავე ენების წრეს, რაც ცხენის ტოტემური კულტის გათვალისწინებით, შესაძლებლობას გვაძლევს, არცთუ უსაფუძვლო ვარაუდები გავწიოთ ტროას უძველესი მოსახლეობის წარმომავლობის შესახებ.

ენეთ — ჰენეტი, ჰენიოხები და გურულაზი

ცხენის ტოტემზე მსჯელობის დროს მხედველობიდან არც ჰენეტი უნდა გამოგვჩხეს. ჰომეროსის პოემის მიხედვით ჰენეტი წარმოადგენს პაფლაგონიის ნაწილს, რომელიც „ველური ჯორების“ სიმრავლითაა ცნობილი.

სახეღართა „ველური“ მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ პოემაში ამჯერად ლაპარაკია რიტუალური დანიშნულების ცხოველებზე, რომელთა გამოყენება სხვა მიზნით იყო იმთავითვე გამორიცხული.

ის ფაქტი, რომ პროვინციის სახელწოდება „ჰენეტი“ წარმოდგება ქართული სიტყვისაგან „ჰენე“ („ცხენი“), რაღა თქმა უნდა, ბევრის მთქმელია. ამასთანავე, ეს სიტყვა („ჰენე“) იგივე მნიშვნელობით გააზრებული ჰქონიათ ბერძნებსაც, როგორც ამას გვაფიქრებინებს ტერმინი: „ჰენიოხი“, რომელიც სისტემატურად გვხვდება „ილიადაში“ და მეეტლეს ნიშნავს.

„ჰენეტის“ სახელწოდებამ, როგორც ცხენთან და ცხენოსნობასთან დაკავშირებულმა ტერმინმა, ბერძნული ვარიანტი „გაქონა“ სხვა ევროპულ ენებშიც. მართლაც, ესპანური სიტყვა: „ხინეტე“ ერთდროულად მხედარსაც ნიშნავს და ჯიშინ ცხენსაც. იგივე წარმომავლობის სიტყვა: „ჰენეტ“ ფრანგულში გვხვდება უკვე ესპანური ჯიშის ცხენის მნიშვნელობით. ამასთანავე, გამორიცხული არაა, რომ „ჰენესთან“ იყოლ დაკავშირებული ჰიხენის აღმნიშვნელი ფრანგული სიტყვა „ჰენირ“ და კვიციის სახელი გერმანულად „ჰენგსტ“.

„ჰენიოხი“, როგორც უკვე სატომო სახელი, გვხვდება ჰომეროსის მომდევნო საუკუნეებში ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე.

პავლე ინგოროყვას აზრით, ჰენიოხების, ანუ ჰენეების ტომი „მკვიდრობდა დიოსკურიის (ცხუმის) თემში“. ამასთანავე, „ანტიკური ხანის ადრეულ პერიოდში... აღწევდა მდინარე კოდორამდე“.

„სახელწოდება მდინარე კოდორისა... ბერძენ ავტორებს მოხსენებული აქვთ, როგორც ჰიპოზი, ე. ი. ცხენი. ეს იმის გამო,



მხატვარი ზაზა სვანიშვილი

რომ შევლქართულად ჰენი — ჰუნე და ცხენი სიხონიმური სიტყვებია... „აქედან ირკვევა... რომ ადგილობრივი მოსახლეობის ენა ამ ეპოქაში ქართული იყო და ამ ენაზე ჰენი, ჰუნე ნიშნავდა ცხენს“. პ. ინგოროყვას აღნიშნული აქვს ისიც, „რომ ანტიკური ხანის ავტორთა თქმულებებში თვით ჰენიოხთა ტომის სახელწოდება დაკავშირებულია ცხენთან და ცხენოსნობასთან...“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 178).

ახლა ბუნებრივია, ვიკითხოთ, კოდორს ერქვა ბერძნულად „ჰიპოსი“ თუ „ცხენის წყალს“? საფიქრებელია, რომ ერთსაც და მეორესაც... არც რომელიმე მესამე მდინარეა გამოირცხული. ასე გვაფიქრებინებს ტოტემური ტრადიცია, რომლის მიხედვითაც კაცსაც, მთასაც, მდინარესაც და ა. შ. შეიძლება ჰქმეოდა (და, ხშირად ერქვა კიდევ) მათი რიცხვის შეუზღუდავად ტოტემის სახელი (ამჟერად, „ცხენი“). ნათქვამთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ჰიდრონიმი: „ენგური“, რომლის ორივე ნაწილი, „ენ(ე)“-ც და „გურ“-იც ცხენის სინონიმებია. ამათგან მეორე, ე. ი. „გურ“ არის შემერული წარმომავლობის და როგორც ამას შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ქართულში დამკვიდრდა „ქურან“-ისა და „ქურ“-ის სახით. ამ მიმართებით საინტერესოა ანტიკური ხანის ციხექალაქის სახელწოდებაც, „ონოგური“. საფიქრებელია, რომ მისი თავდაპირველი სახელწოდება იყო შემერული-ქართული „გურ“-ი, რომელსაც ბიზანტიელთა მოძალატეების დროს დაერთო „მეტი გარკვეულობისათვის“ „ონო“- „ონოს“-ი. აგებულია თვალსაზრისით მსგავსი სიტყვების მაგალითს გვთავაზობს ქართული ონომასტიკაც. საკმარისია, გავიხსენოთ „გურასპაშვილი“, „გურასპაული“, „ასფაგური“ და სხვა. სადაც ამჟერად უკვე „გურ“-თან დაწყვილებული აღმოჩნდა სპარსული „ასპა“ („ცხენი“).

„გური“ როგორც ტოტემური ხასიათის ტერმინი კარგადაა გამოკვლეული სიტყვით: „ოგური“. ნიკო ჩუბინაშვილის მიხედვით **ოგური** და **ოგურობა** არის „ხეცბრტა ერთმანერთთან შერჩევა და ერთმანერთის მიღწევა, ვითარც **ცხენი იციან...**“ (ხაზგასმა ჩემია — მ. მ.). მეორე მხრით (და ეს ძალზე საინტერესოა) ქიზიყურ დიალექტში „ოგური“ შემორჩენილია „ახლო ნათესავისა“ და „თავისიანის“ მნიშვნელობით, რაც სწორედ ტოტემური მსოფლმხედველობის გამოძახილს წარმოადგენს.

ჩვენი „ტოტემური ისტორიის“ საინტერესო შტრიხს წარმოადგენს ქართული მისამღერი: „რაშა-რერა“. ნიკო ჩუბინაშვილის

მიხედვით **რაშს** „ზღაპართა შინა უხმობენ ბელაურს ცხენსა, ფრთებიანსა...“. ჩუბინაშვილისეული განმარტება და ქართულ-ხეთური მითოლოგიური მოტივების სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ ქართული სიტყვა „რაში“ და ხეთური „ჰარაში“ („არწივი“) შეიძლება წარმოდგებოდეს საერთო ძირისაგან: „რაში“. ამგვარი ვარაუდის სასარგებლოდ, ალბათ, მეტყველებს ის კარგად ცნობილი ფაქტიც, რომ ურარტუს მეფის ცხენს „არციბინი“ („არწივი“) ერქვა. აქვე დავძენ, რომ ძველი ეტრუსკები თავის თავს „რასენებს“ უწოდებდნენ. რამდენადაც ქართულში (და არა მარტო ქართულში) „ს“ და „შ“ ბგერების მონაცვლეობა არცთუ იშვიათი მოვლენაა, რაზედაც მიგვანიშნებენ, თუნდაც „სჯული“ და „შჯული“. „გასინჯვა“ და „გაშინჯვა“, „სიმშილი“ და „შიმშილი“, „სტვენა“ და „შტვენა“ და ა. შ., ამდენად, ცხადია, რომ „რასენების“ პარალელურად შეიძლება გვეჩონოდა „რაშენებიც“. ახლა უკვე საფუძველი გვაქვს „(პა)რაშენ“ — „რაშენების“ მიღმა დავინახოთ ეტრუსკთა წინაპრების მიერ მცირე აზიიდან აპენინების ნახევარკუნძულზე გატანილი ფრთოსანი რაშის („არწივი-ცხენის“) ტოტემი. „ექსპორტირებული“ აღმოჩნდა არა მარტო ტოტემური კონცეფცია, არამედ მდიდარი კულტურული ტრადიციებიც. ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ რომის არისტოკრატიული ოჯახების დიდი უმრავლესობა სწორედ ეტრუსკული წარმომობისა იყო. ამგვარი ოჯახებიდან იყვნენ გამოსული იულიუსი კეისარი, კატილინა, მეცენატი და სხვები.

ეტრუსკებზე მსჯელობის დროს მხედველობიდან არც ლიგურები უნდა გამოგვრჩეს, რომლებსაც ეკავათ დღევანდელი იტალიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი და კუნძული კორსიკა. ნიკო მარს სატომო „სახელი **გურ** წინსართით **ლი**“, ფუძით **გურ** — **ჩვენი გურიის... ფუძისბარა**“-დ **მიჩნდა**. (ივ. ჯავახიშვილი). ასეა თუ ისე, „გურ“-ის სინონიმურობა ცხენთან და მისი ტოტემური პოზიციებიდან გააზრების შესაძლებლობა ერთგვარი ობტიმიზმით განაწყობს მკითხველს ამ ჰიპოთეზის მიმართ. რაც შეეხება „ჩვენი გურიის“ საკითხს, მისი სახელის დაკავშირება „გურ“-თან ყველანაირი თვალსაზრისით გამართლებული ჩანს. საფიქრებელია, რომ „გურიის(ინი)“-ს სახით სწორედ „გურიას“ გულისხმობს ურარტუს მეფის რუსა I დროს შესრულებული წარწერა. თუ დავეყარებთ ნ. არუტიუნიალის წიგნს, რომელიც ეძღვნება ბიანინილი — ურარტუს სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიასა და ტოპონიმის საკითხ-

ხებს, „გურია(ინი)“ უნდა ვიგურობდეთ „რაშა“-ს — ჯავახების, „კულსა“ — კულაშების და „კატარზა“ — „დიაუხების“. ე. ი. კლარჯების და ტაოელების „ნათესაურ“ გარე-მოცვაში.

დასასრულ, დავძენ, რომ სიტყვა „გურუნი“ კანურად ნიშნავს „ვირს“, რაც დამაჯერებლობას მატებს გამოთქმულ ვარაუდებს, რამდენადაც ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, როგორც ითქვა, ცხენისგან ვირს არავინ ასხვავებდა.

მაშინაც კი, როცა ორივეს გამოენახა საკუთარი სახელი, ვირის ტოტემური ღირსება რჩებოდა მაინც „შეუბღალავი“, რასაც მრავალი ფაქტი ადასტურებს.

„აჰუ, აჰუ, ცხენო...“
წმინდა გიორგი კაპადოკიელი...

„ვსთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშვური სიტყვა „აჰუ“. საიდან არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს თუ არა — რასაც ბავშვი ამ სიტყვით ასახელებს. ჩვენს ენაში ამ სიტყვების ასახსნელს ვერაფერს ვიპოვნით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვხზრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად acva, ზენდურად aspa, ლათინურად equus, ირლანდიურად ech, ლიტოვურად aszwa ცხენსა ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადი და ნათლად ჩვენებური „აჰუ“... ეს ამბავი ასე ცალკედ, ასე ობლად და მარტოდ აღებული, იმოდენად არა არის რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით რაიმე გადაწყვეტილი აზრი შეადგინოს ან ერთა შთამომავლობასა და ნათესაობაზე, ან რაიმე მახლობელობაზე, ხოლო ყოველივე ამისთანა ამბავი... სხვებთან ერთად... ანიშნებს ზედგავლენას, დამოკიდებულებას ერთმანეთზე სხვადასხვა ერებისას, რომელსაც... უეჭველია, ერთმანეთს ოდესღაც შეჭვედრიან ისტორიის გზაზედა ისე თუ ასე“.

ილიას სიტყვებმა განსაკუთრებით მაშინ ჩამაფიქრეს, როცა ერთგვარი მინიშნებით თვალი შევავლე ძველი სამყაროს რუკას. პირველი, რამაც მიიპყრო ჩემი ყურადღება, იყო ჰელესპონტსა და ლესბოსზე ორი ქალაქის თითქმის ერთნაირი სახელწოდება: „არისბე“ და „არისბა“. ე. ფორერის განმარტებით ერთიცა და მეორეც ნიშნავს „ქალაქს კარგი ცხენებით“. მსგავსი შინაარსის გეოგრაფიული ტერმინი ყოფილა „კაპადოკიაც“. როგორც გ. გოზალიშვილი შენიშნავს, პაულის ცნობილი ლექსიკონის მიხედვით სახელი კაპადოკია მომდინარეობს სპარსული „Katpatuca“ — დან. რაც ლაზაზი ცხენების ქვეყანას ნიშნავს. ამასთანავე, გ. გოზალიშვილის აზრით ძვ. წ. VI საუკუნიდან ტერმინი „კაპადოკია“ აღინიშნება ტერიტორია, რომელიც მოსხტაბალ-ტიბარენებს ეკავათ.

პაულისეულ განმარტებას დავუბრუნდები. ქვეყნის სახელის დაკავშირება „ცხენთან“, ეტყობა, წარმოადგენს ისტორიული ტრადიციის გაგრძელებას. ამგვარი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებენ ეთნოტოპონიმები: „კიცუვატანა“ და „ასუვა“. კიცუვატანა ცნობილია უკვე მეორე აუსსწლელში ძვ. წ. ა. ვიარ. ივანოვის აზრით მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი ხურიტულ-ლუვიური იყო, თუმცა, არც ქართველური ელემენტია გამოსარიცხი. როგორც ამას გვაფიქრებინებს „კიცუვატანას“ სახელშივე წარმოჩენილი ქართული სიტყვა: კიცუ — „ნაშობი კარაულისაჲ“. კვიცი. მოწმედნო საუუენებში (მხედველობაში პირველი ათ-



ასწავლი მაქვს) „კიკუვატნას“ ენაცვლება „კატონია“ გ. გოზალიშვილის თქმით „სტრაბონი... ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კატონიასა და... დანარჩენ კაბადოკიელთა შორის „არ შეიმჩნევა რაიმე განსხვავება... ენასა და ზნეჩვეულებათაში“.

ახლა „ასუვას“ თაობაზე. „ასუვა“, ისევე როგორც „აჩუა“, ნიშნავს ცხენს. ვარაუდობენ, რომ „ასუვასაგან“ არის წარმოდგარი გეოგრაფიული ტერმინი: „აზია“. ასუვას სამეფო, რომელიც მცირე აზიის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში მდებარეობდა, დროთა განმავლობაში ბალკანეთიდან მოსული ფრიგიელების ხელში აღმოჩნდა. შემდგომში ფრიგიელებმა პოლიტიკური გავლენა მოსახლეობაზე გაავრცელეს, რამაც საბაბი მისცა ზოგიერთ მკვლევარს „მუსკა“-მოსახლემსხებიც ინდოევროპელებად გამოეცხადებინათ... ასეა თუ ისე, კაბადოკიის მოსახლეობის რეგიონების ეთნო-ტოპონიმთა გვაფიქრებინებს, რომ ეს „ლამაზი ცხენების ქვეყანა“ იყო „ცხენებისთვის“ „ალყაშემორტყმული“.

როგორც გ. გოზალიშვილი შენიშნავს: „კაბადოკიაში ცხენის მოშენებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქრისტიანული ცხენოსანი რაინდის წმინდა გიორგი კაბადოკიელის ტიპის შექმნა“, რაც მისივე თქმით, გენეტიკურ კავშირს ავლენს „ქართული ზღაპარ-თქმულებების გმირთან, რომელიც ფროთოსან რაშზე მჯდომი, ლახვარით განგმირავს ვეშაპს... საყურადღებოა გამოვლინებული იმის თაობაზე, რომ ამჯერად საქმე გვაქვს, „ქრისტიანულ სამყაროში წარმართული ელემენტების შექრა-შერწყმასთან“...

ჩემი მხრით ღაფქენ, რომ კაბადოკიასა და მის მეზობელ რეგიონებში ცხენის, ვირისა და ჯორის მოშენებამ განაპირობა მათი ტოტემური კულტი, რამაც დასაბამი მისცა მოძვეალი ღვთაების ზომორბილი ორეულის დამკვიდრებას ცხენის სახით.

ლეგენდას წმინდა გიორგის შესახებ ორი პერსონაჟი ჰყავს: გველეშაბი და გიორგი. საფიქრებელია, რომ თქმულება თავდაპირველად ემყარებოდა, ცხენისა და გველეშაპის ბრძოლის ეპიზოდს. ცხენი, როგორც ეთქვით, ტაბალ-ტიბარენ-მესხების საყვარელი ტოტემი იყო, ადამიანის ფანტაზიით: „გაგველეშაპებულ“ გველი კი კელტურ-გერმანულ-სკანდინავიური მოდგმის ტომებს ჰყავდათ ტოტემად მიჩნეული. ტოტემთა ორთაბრძოლის ეპიზოდში აისახა რთული ისტორიული პროცესი, როდესაც ჩრდილო ტომების მიგრაციულმა ტალღამ ვერ ევროპა წააღწია და მერე აზიაშიც შემოაღწია. კელტებს ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ გერმანულ-სკანდინავიური ტომები. მცირე აზიაში კიდევ ერთი სახელმწიფოს „დაბადება იზიდა“... მის გულში სოკოსავით აღმოცენდა „გალატია“, რომელმაც თითქმის სამი საუკუნე იარსება და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დალია სული. დამხვდურ-მომხდურთა ურთიერთობა არა ყოფილა მშვიდობიანი და უკონფლიქტო. მოდგმა აწყდებოდა მოდგმას... ტოტემი-ტოტემს. „ფროთოსანი რაში“ ებრძოდა „გველეშაპს“. უკვე ქრისტიანობის ზღურბლზე ტაბალ-ტიბარენ-მესხებმა თავისი ეროვნული გმირი „გიორგი“ თეთრ რაშზე ამხედრეს და ხელში შემომომარჯვებული წარგზავნეს ქრისტიანული წმინდანების სასუფეველში... ელემენტარული ლოგიკა გვიკარნახებს, რომ საკუთარი სახელი „გიორგი“ დაფუძვნირობთ „ასაკ მცირესა ცხენსა გერგეს“. ასე გვაფიქრებინებს ისიც, რომ სვანურის

ბალსზემოურსა და ლაშხურ დიალექტებში, გიორგი გვხვდება „გერგე“-ს ფორმით.

არც გველეშაბი გამჭარალა უკვალოდ. გველის გამოსახულებით ცხვირდამშვენებული ვიკინგთა ზომალდები უმოწყალოდ სერავდნენ ევროპის ზღვებსა და ყურეებს... ზოგიერთმა ამერიკის კონტინენტსაც კი მიაღწია კოლუმბზე ადრე. ასეთი ზომალდები მართლაც წაავადნენ გველეშაპს. სწორედ ამგვარი მსგავსების გამო ეწოდებოდა ნორმანდიელი მეკობრეების გემებს „დრაკარი“. რაც იგივე „დრაკონია“, ანუ გველეშაბი.

„გველები“ ემუქრებოდნენ ქართველთა წინაპრებს ჩრდილოეთიდანაც. კელტები ყირიმისა და კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ მთისძირეთს მოადგნენ; მანამდე გერმანელები მოედგნენ შავზღვისპირეთს. ეს მოვლენები დაედო საფუძვლად ჰეროდოტესულ ვერსიას იმის შესახებ, რომ „ნეკრები... იძულებული იყვნენ მთელი თავისი ქვეყანა დაეტოვებინათ გველების გამო“.

რა შეიძლება ითქვას „ნეკრთა“ ეთნიკური კუთვნილების შესახებ? ივ. ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა მათი კავკასიური წარმომავლობა, რამდენადაც ნეკრთა სატომო სახელი დაუკავშირა „ნაურსკაჟა“-ს, რომელიც „...არსებობს ჩვენ დრომდე მოზლოყის ოლქში...“

„ვირისურობა“ მეფე მიდასი

მსგავსი არაფერი ყოფილა სინამდვილეში...

თავის ქალის შესწავლამ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით საშუალება მისცა მეცნიერებს, აღედგინათ მიდასის სახის ნაკეთები. საინტერესო ინფორმაცია ამის შესახებ გამოაქვეყნა გაზეთმა „ლე ნუველ დე მოსკო“ 1989 წლის 12 თებერვლის ნომერში. იქვე დაბეჭდილია მორჩმული მეფის ორი ფოტოც... ანფასი და პროფილი. ფოტოებიდან გვიჩერს მოხუცი მამაკაცის სევდიანი სახე... მიდასის პოლიტიკური პორტრეტის შტრიხებს გვთავაზობს გ. მელიქიშვილი. „ასურეთის მეფეების სარგონ I (722-705). სინაქერბისა (705-681) და ასარქადონის (681-668) ხანაში ჩვენ წინაშეა მუშქების ერთიანი გაერთიანება, რომლის მეთაური „მუშქების მეფე მითა“ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ჩანს ასპარეზზე... ანტიკური ტრადიცია მუშქების სამეფოს იცნობს ფრიგიის სამეფოდ, ხოლო მუშქების მეფე მითას ფრიგიის მეფე მიდასის სახელწოდებით... სარგონი II-ის დროს ის ურარტუს მეფე რუსა I-თან ერთად ასურეთის ყველაზე საშიშ მტრად ითვლებოდა. რომელთანაც ძლიერამოსილმა სარგონმა, ეტყობა, მაინცადამაინც ვერაფერი გააწყა“.

აქვე ღაფქენ, რომ „მუშქურ-მესხური“ საკუთარი სახელი „მითა“ ჩვენში წარმოდგენილია გურული გვართ „მითაიშვილი“.

ახლა, ბუნებრივია, ვიკითხოთ: ეს ყბადალებული „ვირის ყურები“ რაღაა და რა კავშირშია იგი მიდასთან?

ცნობას ამის შესახებ გვაწვდის სლოვაკი ავტორი ვ. ზამაროვსკი წიგნში: „ხეთების საიდუმლოებანი“, რომელიც რუსულად გამოიცა 1968 წ. ვ. ზამაროვსკის თქმით, არქეოლოგიური კვლევის შედეგად, თურმე ორმოცდაათიანი წლებშივე დადგინდა, რომ მეფე მიდასის თავსამკაული ოქროს გვირგვინი კი არ ყოფილა, არამედ ვირის სკალპი, რომელიც წააცილი იყო ყურებიანად ვირთან შეტი მსგავსების მიღწევის მიზნით. თუ რატომ დასჭირდა მიდასს ამგვარი

მასკარადი“ პასუხს ამაზე არც ვ. ზამაროვსკი იძლევა და არც სხვები.

ტოტემი და ტოტემური ტრადიციები ყურადაც უგულვებელყოფილნი აღმოჩნდნენ. მეორე მხრით, ვირის ტოტემური კულტის არსებობას უთუოდ მოწმობს ისიც, რომ ოდესღაც ქართულში. „ადამიანისა და ცხოველთა მამრობითი სქესის აღმნიშვნელი“ ერთ-ერთი ტერმინი ყოფილა „ვირი“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ. 180). დღესდღეობით მხოლოდ ლუმუქურმა შემოგვინახა მამაკაცის მნიშვნელობით „ვირი“ და „ვირიჩუ“ (იგივე წყარო, გვ. 668), სადაც „ჩუ“ — დაბოლოება, ალბათ, იგივე „აჩუა“ შეკვეცილი სახით, რაც შორეული ტოტემური ტრადიციის გავლენას გვაგონობინებს.

დიდა მანძილი აპენინებამდე, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. ლათინურადაც „ვირი“ მამაკაცს ნიშნავს. აქედანვე წარმოდგება ტერმინი „ტრიუმფირატ“-ი და რომანული ჯგუფის ენებში დამკვიდრებული ტერმინები, რომლებითაც სარგებლობენ მამაკაცობის, ვაჟკაცობის, ძლიერებისა და სხვა ამგვარი ცნებების გამოსახატავად. გამოირცხული არაა, რომ ტერმინი „ვირი“ რომაელებმა შეითვისეს ეტრუსკებისგან, რომელთა წინაპრებმაც ტროას დამხობის შემდეგ აპენინების ნახევარკუნძულს მიაშურეს.

იგივე ტერმინი, ასევე მამაკაცის მნიშვნელობით, შემოგვინახა ურარტუს ტოპონიმი-კამაც. მხედველობაში ქალაქის სახელწოდება „არმავირი“ მაქვს. რამდენადაც მესხურად, ისევე როგორც მესხთა მეზობელი მცირეაზიური ტომების ენაზე, „არმა“ ნიშნავდა მთვარეს, ამდენად, საფიქრებელია, რომ სიტყვა „არმავირი“ გამოხატავს მთვარის მამრობითობის აზრს, რამეთუ „მხოლოდ ასურელებს, ქარანელებს და ქართველებს მიაჩნდათ მთვარე... მამაკაცად“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1951, გვ. 61). იგივეს გვაფიქრებინებს ცნობილი ხალხური ლექსი „თუთა მუმა ჩქიმი...“

ახლა ორი სიტყვით თვითონ ქალაქის შესახებ. იგი აშენდა მდინარე არაქსის ნაპირას არგიშტი პირველის დროს (781-760 ძვ. წ.ა.) „აზას ქვეყნის“ ტერიტორიაზე, რომელიც ოკუპირებული იყო ურარტუს მიერ. „აზას“ ეთნიკური შემადგენლობის შესახებ მსჯელობის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მდინარე „არაქსის“ სახელწოდების ტოტემური ხასიათი. საქმე იმაშია, რომ მდინარეს ძველთაგანვე ქართულად ეწოდებოდა „რახსი“, რაც ნიშნავს „შავ-მოწითალი ცხენს“ (საბა). „რახსის“ ნაბი-რებზე ჰოსიანთა გამოცხენის შემდეგ მდინარის სახელწოდებაშიც ცვლილება განიცადა, რამდენადაც გ. ჯაუკიანის თქმით სომხური ვერ ჰგუობს „რ“-ს სიტყვის დასაწყისში და „ახმოვანებს“ მას „ა“-თი ან „ე“-თი.

ასე მოხდა „რახსის“ გადარქმევა არაქსად, რასაც მოჰყვა „არმენთა“, ანუ მთვარის ღვთაების თაყვანისმცემელი ტომის უსაფუძვლოდ გაიფანტა ახლანდელი სომხების შორეულ წინაპრებთან. უთუოდ ამიტომაც, ევრეტროდებული ძველად „არმენია“ გეოგრაფიული სახელია და არა ეთნოგრაფიული“ (ილია).

მერაბ მიქელაძე,

ბაქანიის მემცენიერებათა ფოტოგრაფი, პროფესორი, საპატრუალოს მემცენიერებათა აკადემიის დირექტორი-პროფესორი

საქართველო 1918 წელი



საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლის ყადირ შერვაშიძის (1887—1919) საოჯახო არქივში 1969 წელს აღმოჩნდა ფოტოსურათი, რომელიც, მისი ქალიშვილების — გულისა და ნელის თქმით, ბერლინში უნდა იყოს გადაღებული.

ფოტოსურათზე გერმანელ მასპინძელთა გარდა აღბეჭდილი არიან ისტორიული პიროვნებები, ცნობილი ქართველი მოღვაწენი და საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი, ამიტომ ვფიქრობთ, მკითხველისათვის უინტერესო არ იქნებოდა ამ ფოტოსურათის დაწვრილებით გაცნობა.

ჩვენ თითქმის 20 წელიწადს ვეცადეთ, მაგრამ ვერ დავაზუსტეთ სად, როდის და რასთან დაკავშირებითაა გადაღებული ეს ფოტოსურათი. ამის გარკვევაში დაგვეხმარა ახლახან გურამ მაძულის რედაქტორობით თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და კოოპერატივ „ნიაშორის“ მიერ გამოცემული ზურაბ ავალიშვილისა და ვიქტორ ნოზაძის ძალზე საინტერესო წიგნები: „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ და „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“.

1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ოსმალეთის მთავრობამ საქართველოს რესპუბლიკას ულტიმატუმი წარუდგინა და 12 დღის ვადაში პასუხი მოსთხოვა. მეზობელი ქვეყანა მთელი სამუსლიმანო საქართველოს ტერიტორიებზე პრეტენზიებს აცხადებდა. ერთი კვირის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ოსმალეთს შეახსენა, რომ საზღვრები ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით უნდა დადგინდეს, ხოლო ახალქალაქ-ახალციხის საკითხი საზავო მოლაპარაკებისას უნდა გადაწყვიტოთ.

ოსმალეთი არც ამას დასჯერდა. მისი ჯარი კიდევ უფრო ღრმად მიიწეოდა საქართველოს ფარგლებში, საინგილოში, ბორჩალოსა და აფხაზეთში. ამ საშიშროების შესაჩერებლად მთავრობამ დახმარება სთხოვა გერმანიას, რომელმაც 1918 წლის 13 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯარი შემოიყვანა და კიდევ შეაჩერა ოსმალთა ჯარების წინსვლა.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მე-4 მუხლის თანახმად ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში მოსახლეობის თვითგამორკვევა უნდა მომხდარიყო კენჭისყრით (რეფერენდუმით).

1918 წლის 14 ივლისს ოსმალეთის მთავრობამ ბათუმში რეფერენდუმი მოაწყო, მაგრამ იგი ჩატარდა ცალმხრივად. მეზობელი სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს მონაწილეობის გარეშე, ადგილობრივი მოსახლეობის დევნისა და დაშინების პირობებში. ცხადია, რეფერენდუმის შედეგები სრულიად არაობიექტური იყო და არ გამოხატავდა ადგილობრივი მოსახლეობის სურვილებს, რის გამოც საქართველოს მთავრობამ იმავე წლის 1 აგვისტოს პროტესტი განუცხადა ოსმალეთის ხელისუფლებას.

ამავე მიზნით „სამუსლიმანო საქართველოს განმთავისუფლებელ კომიტეტს“ თავისი წევრები ყადირ შერვაშიძე და ზია აბაშიძე ბერლინში გაუგზავნია, რის შედეგადაც ცნობას ვხვდებით ზურაბ ავალიშვილის წიგნში: „აღნიშნავ აგრეთვე თურქების მიერ 1918 წლის ივლისში ბათუმის ოლქში ჩატარებულ რეფერენდუმს. ამ რეფერენდუმის და თურქების ზოგ მოქმედებების წინააღმდეგ მრავალგზის-ხსენებულ სამ საწყაში (იგულისხმება ყარსი, არტაანი და ბათუმი — რ. ს.) ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ ბერლინში და საქართველოს მთავრობამ თავის მხრივ თბილისში. აგვისტოს ბოლოს ბერლინში ქართველ მუსლიმთა საგანგებო დეპუტატებიც კი ჩამოვიდნენ — ზია-ბეგ აბაშიძე და ყადირ-ბეგ შერვაშიძე. ისინი აპირებდნენ კონსტანტინოპოლის კონფერენციისათვის რეფერენდუმის გამო შეეჩივლათ“ (გვ. 140).

როგორც ვიცით კონსტანტინოპოლის კონფერენცია აღარ ჩატარდა, მაგრამ ქართველ მოღვაწეებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ყადირ შერვაშიძემ სპეციალური ფურცელი — მოწოდება დაბეჭდა და მთელს სამუსლიმანო საქართველოში გაავრცელა (ტექსტი სრული სახით გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ — № 27, 07, 1989 წ.).

ერთი წლის შემდეგ, ინგლისელთა ოკუპაციის მეტად მძიმე და რთულ პირობებში, ბათუმში ჩატარდა ბათუმის ოლქის მაჰმადიანთა ყრილობა, რომლის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ბათუმის ოლქის მუსლიმანთა წარმომადგენელი, რიცხვით ასი კაცი, ვაცხადებთ ღვთისა და

ქვეყნის წინაშე, რომ ბათუმის ოლქის მკვიდრი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლით და ხორციით, ენით, კულტურით და ადათებით ვართ მუსლიმანი ქართველები და ტერიტორიულად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა-სამშობლოს — საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენდა“ (ვიქტორ ნოზაძე — გვ. 54).

ასეთი განცხადება — ოსმალთაგან ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გაქარწყლება საქართველოს მტრების მიმართ ნამდვილი ლახვარის ჩაცემა იყო, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა აშკარად გამოხატავდა პროქართულ ორიენტაციას და ძირიდანვე ამხვრევდა პანისლამისტთა მზაკვრულ გეგმებს.

ქართველ პატრიოტთა სიმტკიცემ და თავდადებულმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო — სამუსლიმანო საქართველოს ერთი ნაწილი აქარა და სამცხე-ჯავახეთი კვლავ დედამამშობლოს ფარგლებში მოექცა.

ზემოთქმულით დასტურდება, რომ ფოტოსურათი გადაღებულია ბერლინში ზია აბაშიძისა და ყადირ შერვაშიძის ჩასვლისას, როცა გერმანიის დედაქალაქში იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია (ა. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, ზ. ავალიშვილი, მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, ე. ბერნშტეინი, ა. ბეჟანიძე). რომელსაც ახალგათავისუფლებული რესპუბლიკის მრავალი რთული პოლიტიკური საკითხი უნდა გადაეწყვიტა. ფოტოსურათზე აშკარად ჩანან ნიკო ნიკოლაძე (მარცხნიდან მეოთხე), ყადირ შერვაშიძე (5), აკაკი ჩხენკელი (7), მისი მეუღლე მაკრინე (10), მიხაკო წერეთელი (15). ზია-ბეგ აბაშიძე სურათის გადაღების დროს შემთხვევით იქ არ იყო.

სურათზე პირველი, მერვე და მეცხრე პიროვნებებიც საქართველოს დელეგაციის წევრები არიან. გასარკვევია, მათგან რომელია ზურაბ ავალიშვილი, გ. მაჩაბელი, ერ. ბერნშტეინი — „გერმანული წარმოშობის საქართველოს ქვეშევრდომი“ და ახმედ-ბეგ ბეჟანიძე, ა. ჩხენკელის მხლებელი — „მეტად შთამბეჭდავი გარეგნობის ოფიცერი, ქართველი მუსლიმანი“.

სურათი გადაღებული უნდა იყოს 1918 წლის აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში, ბერლინში. სასტუმრო „ადლონის“ მახლობლად.

რამაზ სურმანიძე



დურს პირველი დიდი ბრძოლა გაუმართა სხერტის ქალაში, ნიაბის დასავლეთით, მეტეხის თავზე.

ომის სიფიცხე თითქმის უნდა შეენელებინა იმას, რომ მეომრებს შეუხვდათ ავღრიანი ამინდი, ნაწვიმარსა და ნარწყავ ხნულში იფლობოდნენ ცხენებიცა და მხედრებიც. მაგრამ ბრძოლაში ნაწრთობმა ქართველებმა ამჯერადაც იქართველეს და მტერს აგემეს სასტიკი დამარცხება. ერთნაირი თავგანწირვით იბრძოდნენ: მთავარსარდალი გიორგი სააკაძე, მისი ჩამოღალმა სარდლებიც, მისივე ძმა ქაიხოსრო სააკაძე, ზაზა ციციშვილი და სხვები და რიგითი მეზობლნიც, ვისი სახელებიც, სამწუხაროდ, ვერ შემოგვინახა ისტორიამ. ბევრი მათგანი დაიღუპა. კინაღამ ძირს დასცეს ერთ-ერთი ქართველი სარდალი მაჩაბელიც. რომელსაც დაუნდობელმა ფაშამ (მის სახელს ვერ იხსენიებენ მეისტორიენი), დამბაჩით ცხენი განუგმირა და ხმალი გააეღვა წაქცეული მხედრის მოსაკლავად, მაგრამ ფხიზელმა ზაზა ციციშვილმა ავი ზრახვა ვერ ააცხადებინა. ხმალდახმალ შეება ფაშას და „მაშინ ზაზამ მოკლა ფაშა და თავის კრას შინა მოერტყნენ თათარხანნი. იპყრა ზაზამ კბილით წვერი თავისა მის, შეჯდა ცხენსა და გამოვლო ბრძოლით თათარხანნი“ (ვახუშტი ბაგრატიონი). ეს, ალბათ, იყო ერთ-ერთი პირველი და საკადრისი შურისგება თევდორე თავგვეთილის სანაცვლოდ. იქნებ სწორედ ეს იყო თავი იმ უსახელო ფაშას, რომელმაც რამდენიმე დღის წინ წამების მერე თავი მოკვეთა თევდორე ხუცესს და ახმალმომიშვლებულ თათართა შუა მოქცეულ ზაზა ციციშვილს, კბილებით რომ ფაშას თავი ეჭირა და ორივე ხელით ორივე ხმალს იქნევდა გააფთრებული, მალე წამოეშველნენ მოკლული ფაშას ცხენზე ამხედრებული მაჩაბელი და ძმები სააკაძენი, ისინი უფრო გამძვინვარებული დაერივნენ თათრებს, რომლებსაც ერთბაშად დააყრვეინეს თავები.

და ქართველმა მეომრებმა „სხვანიცა მრავალნი სახელნი ჰქმნეს იმ დღესა. მოვიდნენ და მოართვეს მეფესა მრავალნი თავნი ნატყუერავანი“ — მოგვითხრობს ბერი ეგნატაშვილი. ეს „მრავალნი თავნიც“ თევდორე თავმოკვეთილის და იმ ბრძოლაში დაღუპულ სხვა ქართველ მეომართა პირის სასაცვლოდ მიითვლებიან...

ქართველი ვაჟაკები მერე კიდევ ბევრი თათრის თავს მესწირავენ თევდორე თავდა-

დებულის და ქართველ გმირთა სამსხვერპლოს, შესწირავენ ჯერ მაშინვე, მომდევნო დღეებშივე და მერეც.

სხერტის ქალის ბრძოლაში თათარხანნი დამარცხდნენ, მაგრამ მთლიანად როდი ამოწყვეტილან. გადარჩენილმა ნაწილმა ძალები მოიკრიბა, კვლავ მომაგრდა და მომძლავრდა ფერად ფაშას ურდო, კვლავ ემზადებოდა თავისი მზაკერული მიზნის განხორციელებისათვის — ქართლის აოხრებისათვის. ეს, რასაკვირველია, გამოუცნობი არ დარჩენიათ ქართლის მეფეს და მის მარჯვენა ხელს გიორგი სააკაძეს. დაიწყო მზადება მომხდელურის პასუხის გასაცემად. მეფე ლუარსაბმა და გიორგი სააკაძემ უსტარები დაუგზავნეს ქართლის თავადებს — მუხრან ბატონს, ამილახვარს, მაჩაბელს, არაგვის ერისთავს ნუგზარს და სხვებს, რომლებმაც მოკრიბეს თავიანთი ლაშქარი და ზემო ქართლისაკენ დასძრეს. მტკვრის მარცხენა მხრიდან დაიძრა თათარხანთა ურდოც, რომელმაც განვლო სხერტის ქალიდან სამიოდე ვერსის მორბევით სოფელი ყარაღაჯი. ამდენივე მანძილით მოშორებული სოფელი დოესი. რასაკვირველია, ისე არ გაივლიდნენ, მოსახლეობას დაარბევდნენ უთუოდ, მოსახლენიც დიდ წინააღმდეგობას გაუწევდნენ. სისხლიც დაიღვრებოდა. ბევრი ქართველი შეეწირებოდა სამშობლოს, მაგრამ ძუნწ მემატიანეს ამის აღსაწერად არა სცალია, ისწრაფვის, რომ უფრო დიდი ბრძოლების ამბები გააუკვდავოს ეტრატზე, ამას კი მაინც იტყვის: „ხოლო ყირიმნი წარვიდნენ, მივიდნენ დოესს და რა მივიდნენ, მაშინ ერთი ტერტერა გორელი გორიდან მოვიდოდა თავისთვის უგრძნობლად და მიმოიხედვიდა იმიერ და ამიერ ტერტერა იგი და იხილა დოესი და ველნი იგი დოესისანი აღვსებულნი ჯართა და მაშინ სცნა ტერტერამან, რომე არ იყვნენ ქართველთაგანი, და სცნა, რომე ურჯულოთაგანი არიან ვინმე და მარბევალნი ქუეყნისანი და სწრაფლ უკუნიუქცა ტერტერა იგი, და მიილტვოდა გორის კერძო“.

და ამ გორელმა ტერტერამ დაღო თავი სამშობლოსათვის. გორიდან სად მიდიოდა ტერტერა — ალბათ დოესში, ან მის ახლომახლო სოფლებში; ყარაღაჯში, გრაკალში, ხოვლესა თუ ზემო ხანდაკში ან სულაც ახალქალაქში, სადაც ტერტერებს მოეხერხებინათ თითო-ორიოლა გრიგორიანული სამლოცველოს წარმოქმნა ან ქართული საეკლესიო შე-

ნობის გამოყენებით, ანდა სულაც ახალის აგებით. ამ ეკლესიებში ლოცულობდნენ თავიანთი ჯილაგისანიც, მცირე ნაწილი წმინდა სომხებისა, ქართლის მეფეებმა რომ ჩამოასახლეს ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების მიზნით, და წაადენით გაგრიგორიანებული წმინდა ქართველებიც, უფრო რე ღარიბი გლეხები, შეღავათიანი საეკლესიო გადასახადის წატყუებით რომ მიეღოთ გრიგორიანობა, მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. უმთავრესი ის არის, რომ გორიდან დოესისაკენ მომავალმა ტერტერამ გამოიჩინა სულის სიმადლე, ქართველი ხალხისთვის თავდადება, საზრიანობა და გმირობა. როცა უკან გამობრუნებულმა იმ წყალდიდობის დროს აპყარა მდინარე მტკვარზე გამართული ხის ხიდის ფიტრები (რა თქმა უნდა, სხვათა მოშველიებით) და მტერს აღარ მისცა საშუალება, ქალაქში გასულიყო (გორი მაშინ მთლიანად გაშენებული იყო მტკვრის მარცხენა მხარეს) და აესრულებინათ განაზრახი — გორი დაენგრიათ და აეოხრებინათ. დიახ, გმირობად და თავგანწირვად უნდა მივუთვალოთ ტერტერას ეს მოქმედება, რადგანაც თევდორე ხუცესივით მანაც სასწორზე შეაგდო სიციხესლე. თუმცა მტერს არ ჩავარდნია ხელში, თავისი გადარჩენაც მოახერხა და გორის და გორელების გადარჩენაც. სამადლობელოა მით უფრო, რომ იგი სხვა ჯილაგისა იყო. ძარღვებში უჩუხჩუხებდა ჰაოსის სისხლი. გორელი ტერტერას გმირობაც თევდორე ხუცესის გმირობის შედეგია, რითაც უფრო მალღდება თევდორეს თავდადებაც და სულაც.

ხიდის აყრისა და წყალდიდობის გამო ქალაქ გორში ვერმელწეული თათართა ურდო მტკვრის მარჯვენა მხარეს აუყვა, საციციანოს სოფლებზე ავლით, ხაშურის მახლობლად სოფ. ბრბონასთან გავიდნენ. მტკვრის მარცხენა მხარეს აუყვნენ და ტაშისკარის მახლობლად ნახვეტას მინდორში დაბანაკდნენ. ხოლო სხვადასხვა მხრიდან მოკრებილმა ქართველთა ლაშქარმა სურამის მახლობლად მოიყარა თავი. სწორედ აქ გაიმართა ბრძოლა, როგორ და როდის დაეწყოთ ბრძოლა. ისევე, როგორც ქაჯეთის ციხის აღების წინ, სხვადასხვა გეგმა იქნა განხილული, ტაშისკარის ბრძოლის დაწყების წინაც ასე მოხდა, აქაც სამნაირი მოსაზრება ჩამოყალიბდა ძირითადად — ზაზა ციციშვილისა, ნუგზარ ერისთავისა და გიორგი სააკაძისა.

ქაჯეთი თუ ტარცილის გეგმით იქნა აღებული ტაშისკარის ბრძოლის წინ შეწყობის გეგმა აღარ უნდა შეგვეხვედით ციციშვილის დაიწყო შეტევა და პირველი თვითონ გიორგი სააკაძე გადაეშვა ამ ბრძოლაში.


ტაშისკარის საბრძოლო ეპოპეის ამბავი კარგად არის ცნობილი ისტორიულ თუ მხატვრულ ლიტერატურაში. ყველაზე სახიერად ჩანს კინოფილმ „გიორგი სააკაძეში“ და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: ტაშისკარის ბრძოლა ქართველი ერის ისტორიაში აღბეჭდილია, როგორც ერთ-ერთი დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რაზედაც შემატიანე ბერი ეგნატაშვილი წერს: „მაშინ იქმნა ომი დიდი იქით და აქით და დიდად მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ, ძუელთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელ იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულიად ქართველნი იბრძოდნენ“. მეფესაც და მოურავსაც თავისას მიაგებს ვახუშტი ბაგრატიონი: „ამ ომსა შინა ფრიად მხნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი“. როგორც ჩანს, ტაშისკარის ომში ქართველთა გამარჯვების სულისჩამდგმელები იყვნენ მეფე ლუარსაბი და უფროვე სააკაძე, ხოლო „სრულიად ქართველნი“, თავისთავად ცხადია, იგულისხმებიან სხვა სარდლები და თვით რიგითი მელაშქრენიც, მათ შორის „ქუღუჯე კაცი“ დაძახილზე მოსული იქაური ქარმაგი გლეხები, თუ პირტიტველა ბიჭები. ქალიშვილები თუ ხანმოვლილი დედაკაცებიც კი ერთ მუშტად იყვნენ შეკრულნი „სრულიად ქართველნი“. მეფე, მთავარსარდალი, მის ჩამოღმა სხვა სარდლები, რიგითი მოლაშქრე, თავადი, აზნაური, გლეხი, ქალი და კაცი, ერი და ბერი, და ღმერთიც მათ მხარეს აღმოჩნდა და ამიტომაც სძლიეს ერთი ზუთად მოკარბებულ მტერს.

ბერი ეგნატაშვილი წერს: „მაშინ იქმნა დიდი ომი იქით და აქით, და დიდი მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ; ძუელთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელი იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულიად ქართველნი იბრძოდნენ. და მისცა ღმერთთაგან ძლევა მეფესა ლუარსაბს. ვითარცა პირველ აბრაჰამს და გედევანს“.

მეტად ტყველი, ხატოვანი და მრავალმხრივ საყურადღებოა ქართველი მემატიანის

კანკალი


რეულური საფრისუა!




უპეუბით

„ნუ
დვნილ
რვნივუ
უტოლი-
ნაროუით!“

საქართველოში ერთ მილიონამდე ადამიანია
გამოკვლეული, ალრიცხულია შემთხვევა,
მათ შორის ორი დაავადების. ორივე
ავადებოში იმუნოდეფიციტის ვირუსი
ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
პრეციპიტაციის სისხლით და მისი
ინფიცირებით, დასნებოვნებული ან
პრეპარატებით, დასნებოვნებული ან
ავადებოში ორსულიდან ნაყოფი
შიდსი ხშირია აღინიშნება შემთხვევების
ნარკოტიკების მოხმარებით და
ზრდა ჰემოფილიის შემთხვევების
გავრცელების მხრივ. ინფიცირების
პროცესში აღინიშნება შემთხვევების
აანონი: „რაც მეტი სქესობრივი აქტიურობა
შეიქმნება დასნებოვნების ალბათობა,
მით მეტად დასნებოვნების ალბათობა,
შიდსისაგან დასნებოვნების ალბათობა,
ერთი ერთობლივი შემთხვევა, ვისაც
სქესობრივი აქტიურობა ჰქონდა, იცავს
შიდსის თავიდან აცილებას ჩვენს ხელშია.




შატავრი იოსებ შალერშანი




ავტოპორტრეტი

გიორგი ჯაფი



პროფესორი გივი ხაბტაძე



ჭეიკო



მეუღლის პორტრეტი



ქეთევან კახაშვილი

გურჯია 記者会
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი

中央画家会 会館
ცენტრალური მხატვრის
სახლი



本


Yutaka Sakai 9 写真展示会
იუტაკა საკაის ფოტოგალობა
日本 იაპონია




展示会 9 準備

გამოფენის ორგანიზატორი - ზონთა და დვასუ

ქართული
ზინალიტიკა



თბილისში საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირისა და თბილისის ცენტრალური მხატვრის სახლის ინიციატივით მოეწყო ცნობილი იაპონელი ჟურნალისტის იუტაკა საკაის ნამუშევართა ფოტოგამოფენა. გამოფენამ მნახველთა დიდი მოწონება და იმსახურა.





ეს ფრაზები. მემატიააე უწინარესად ამ ომს ისეთ დიდ შეფასებას აძლევს, რომ „შველთა გამორთავანაც“ ძნელად შესაძლებლად მიიჩნევს.

ქართველი მემატიაე განაგრძობს:

„და აღსრულდა წინასწარმეტყველისა მოსეს მიერ თქმული ლევიტელთათვის ბრძანება უფლისა, ვითარმედ: „ხუთმან თქუნენ განმანო წარბეჭდოსო ასი და ასმან თქუნენ განმანო ბევრეული“. აქ უნებურად გვახსენდება სულამნათი შოთას ნათქვამი: „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“.

დაიხ, ასმა ქართველმა აჯობა ათას თათარს, რადგან ქართველები იბრძოდნენ „გულსრულად“ და გამორჩევით, მით უმეტეს, ეს ბრძოლა იყო სამართალზე სამართლიანი, გადახდილი მამულის გათავისუფლებისათვის ქართველები-სავე მამულში.

ისევ ბერი ეგნატაშვილი: აღსრულდა „მოციქულისა პავლეს მიერ თქმული: „ძმანო ღმრთის-მოყუარება ყოველივე განუმარჯვებლის კეთილად“. ეგრეთვე ამით სასოებითა ღმრთისათა მიეცე ძლევა დიდ და ესრეთ განუმარჯუათ ურჯულოთა ზედა...“

აქაც ანალოგიები აბრაამისა და გედეონის ბრძოლებში გამარჯვებისა და ტაშისკარში ქართველი მეფისა და სარდლების გამარჯვებისა. განუმარჯვდათ ღვთის ძალით, ღმერთის რწმენით, რჩევით და შთაგონებით. ღმერთი სწამდათ, ღმერთს ეთაყვანებოდნენ. ღმერთს დაუჭერეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ჰო, ტაშისკარის ბრძოლაში ერთად იყვნენ მეფე, სარდალი, რიგითი მებრძობი, ერი და ბერი, ერთი სულისკვეთებით იბრძოდნენ. ღმერთიც მათთან იყო და მცირედი ჯარით სძლიეს ბევრად აღმატებულ მომხდურს — საკადრისი პასუხი ვასცეს მაშინდელ მსოფლიოში თავიანთი სისასტიკით სახელგავარდნილ თათრებს. „და მოსრნეს სრულად, ბანაკი მათი იავარ ყვეს: როდენი ქართლიდამ ეშოვანათ, ტყუე თუ საქონელი, იგიცა ყოველივე წამოიღეს და მათიცა მრავალი წაართუეს. და რაცა ოდენი შეიპყრეს ყირიმნი, მოსრნეს პირითა მახვილისათა“.

ვინც ხმაღს ვადაურჩა, ქართველთა შეძახილებით დამფრთხალ-დაშინებულები ტყეში დაეხეტებოდნენ, მოხუცებიც და დედაკაცებიც კი იჭერდნენ მათ, იარაღს აპყრიდნენ, „განაშიშულიან და განუტყვიან“ (ვახუშტი), ეგება პან-ლურსაც ამოუჭერდნენ დედი-შობილასა და იქით ვააქ-

ცევდნენ. საიდანაც მოეხეტნენ.

კვლავ ბერი ეგნატაშვილი: „ქინლა მცირედი რამე ნეშტი განერუნენ, იხმეეს სივლტოლა და წარვიდნენ მოსაკიდელ-ზედა შეშინებულნი და დანქრეულნი, შევიდნენ ტყესა და სიმაგრესა მოსაკიდლისასა, არა აქუნდათ ღონე გზისა გაგნებისა. და მაშინ ჰპოვებდნენ დედანი მოსაკიდლის სოფლისანი ტყეთა შინა დამალულთა ყირიმთა კაცთა, შეიპყრობდნენ, მოჰხდიდნენ დოღბანსა და, თუ რამე ჰქონდათ, წაართმევდნენ და კაცთა შეიწყალებდნენ და განუტყვებდნენ. ესეთი გამარჯვება მოსცა ღმერთმან ქართველთა და შემოეკცნენ გამარჯვებულნი და აღსავსენი საქონლითა და ჰქონდათ ღმრთის და სიხარული“.

და ამ გამარჯვების მთავარი მოქმედი ზნეობრივი, უძველესი უხილავად ქცეული გმირი იყო თევდორე ხუცესი, რომელიც თითქოსდა ღმერთმა მოუვლინა ქართველებს, „თითქოსდა“ კი არა, ნამდვილად ასე იყო. ქართველებმა, სწორედ მისი ჭირის სანაცვლოდ, მამულის ჭირის სანაცვლოდ, უამრავ თათარს დააყრვედნენ თავები, ჯერ ლუარსაბ მეფეს დაუყარეს წინ და მერე ყანეს, ხოლო თათართა ლაშქრების სარდლები — ფერად-ფაშასი და მოჰამედ ფაშას შვილები, რომელთაც განზრახული ჰქონდათ ლუარსაბ მეფის შეპყრობა, თავად შეიპყრო ლუარსაბ მეფემ, გაირეკა და მიჰგვარა შაჰ-აბასს, რომელიც, სხვა მუხანათი დამპყრობლებისა არ იყოს, ვითომდა „საძმოდ“ იყო ფეხშემდობიანებულ, ქართლ-კახეთში, ჯერ კიდევ სრულიად არ გამოემყლაგნებინა თავისი ვერავგობა და ჯალათობა ქართველი ხალხის მიმართ. მიჰგვარა და ქარველმა მეფემ იმით, იქნებ ქვეცნობიერად გააფრთხილა კიდევ, თუ ჰკუთით არ იქნებოდნენ, ქართველების წინააღმდეგ მახვილმომართულ სპარსელ სარდლებსაც ეს დღე მოელოდათ. მიჰგვარა და ერთი სარდალი — მოჰამედ ფაშას შვილი, რომლის სახელიც „დაავიწყდათ“ მემატიაეებს, შაჰმა ჯალათებს მიუგდო საჩივრად, ხოლო ნაქართველარი ფერად-ფაშა ლუარსაბმა დიდი თხოვნით ისევ გამოარდა შაჰისა და მისი ჯალათების კლანჭებს — სიცოცხლე აჩუქა და უკან გამოაპანდურებინა...
მაგრამ შაჰის კარზე მომდგარმა ლუარსაბმა უფრო მთავარი შესთხოვა ქვეყნის მბრძანებელს — თბილისიდან გაეყ-

ვანათ სპარსელების ჯარი და მის ნაცვლად დედაქალაქში ჩაეყენებინათ ქართველი მეციხოვნენი. გულმოდობილი შაჰი იძულებული გახდა, ამ „რისკზეც“ წასულიყო და თითქმის სისხლის დაუღვრელად გათავისუფლდა საქართველოს დედაქალაქი. ეს ჰაბუჯ მეფეს უნდა მიეთვალოს დიპლომატიურ გამარჯვებად და თავისუფლების გამოტყუებად დიდი გველეშაპისაგან უსისხლოდ, დროებით მაინც. ამ ჰაბუჯ მეფეს ამოქმედებდა და ამხნევებდა გიორგი სააკაძე, რომელიც მეფემ მალე დიმიოვრა კიდევ. ორთავეს მოქმედება კი თევდორე ხუცესის ნამოქმედარის, მისი თავგანწირვის შედეგი გახლდათ.

ამგვარად, თევდორე თავდადებულის მოქმედებისა და თავგანწირვის შედეგად გაღარ-ჩა ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელიც, ზემოთ ნათქვამის გარდა, იმითაც არის პირჯგრის წერით მოსახსენებული, რომ მტლად დაედო საქართველოს, თავად იქცა წამებულად და ზნეობრივ გმირად, რომელმაც, აქი ვთქვით, ომშიც იგაჟკაცა და ნადირობაშიც არა ჰყავდა ბადალი. სწორედ ვითომდა სანადიროდ ჩაიტყუა შაჰ-აბასმა ყარაიაზში, სადაც „მოკლა მეფემან ლუარსაბ კარზედა ცხრამეტე“. საერთოდ მეტად ეჭვიანსა და შურიან მეფეს — შაჰ-აბასს მას. მერე უფრო აღენთო გულში შურ-ბოროტების მსურველებმა ლუარსაბის მიმართ, რაც ტაშისკარის ბრძოლაში იგაჟკაცა ქართველმა მეფემ, და მრისხანე შაჰი ახლა უფრო გაცოფდა, ნადირობაზეც რომ აჯობა. ახლა უფრო მტკიცედ გადაწყვიტა ქართლის მეფის და მამასადამე, მთელი ქართლის დამორჩილება, გამაჰმადიანების გზით, და თუ მის ნებას არ დაემორჩილებოდა, სასიკვდილოდაც არ დაინდობდა. „ჩაიტყუა“ ყარაიაზშიც, ყარაბაღშიც. ლუარსაბმა იცოდა, რისთვისაც „პატიუება“ შაჰი, აქი ურჩევდნენ კიდევ: ნუ წახვალო, მაგრამ მან მიუგო: „უკეთუ არა წავიდე, ამიოკლებს ქვეყანას და ამიოხრებსო“. შაჰმა შესთავაზა სარწმუნოების გამოცვლა. რასაკვირველია, დიდებისა და პატივის დაპირებით, მაგრამ სხვა დროს თითქოსდა მერყეუმა მეფემ, რაზედაც საყვედურობენ კიდევ მესტორიენი, ამჯერად მეტად მტკიცე ნებისყოფა გამოიჩინა და უმაღლეს აუკრა ხელი მაცდუნებელ თავაზს, რის გამოც, შაჰის ბრძანებით, მაზანდარის ციხეში ჩასვეს და შვიდ წელიწადს აყურყუტეს. რაღა ხერხსა და მეთოდს არ მიმართეს

ჯალათებმა, უწინარესად შაჰმა, მაგრამ მაინც, ვერცა აღწიეს მიზანს; ვაზნის სიტყუანი ესე მდგომარეობა შეეფესა ლუარსაბს, არად შერაცხა სიტყვა მძლავრისა, არამედ ეგო, ვითარცა ანდამატი და შეუძვრელ ვითარცა კლდე. და უშიში იყო ვითარცა ღმრთის საყოფელსა თვისსა“. რაკი თავიანთ რჯულზე ვერ მიეციეს, შაჰ-აბასის ჯალათებმა მშვილდ-ისრის საბლით მოახრჩვეს და ისე მოჰკვეთეს თავი 35 წლის ლუარსაბ მეფეს. ეს მოხდა 1622 წლის 21 ივნისს, იმავე თვეში და იმავე დეკადაში, თათრებმა რომ გადმოთქერეს თრიალეთი და ცხირეთში მყოფი მეფის ხელში ჩაგდებას ლამოდნენ.

ასე რომ, ლუარსაბ მეფის სახით ერთი ზნეობრივი გმირი კიდევ მიემატა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს. მამულისათვის ანთებულ წმინდანებს და ამით უფრო მეტი სინათლე ემატება თევდორე ხუცესის თავგანწირვასა და გმირობას. ზნეობრივმა გმირმა შვა კიდევ ერთი ზნეობრივი გმირი და ისიც მაშინვე. თევდორეს გმირობა რომ არა, მის გმირობას მოყოლებული ქართველთა გმირობა რომ არა, ჯერ სხერტის ჭალაში და მერე ტაშისკარის გამათავისუფლებელ ბრძოლაში, ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა ჰაბუჯ მეფეს, როგორ წარიმართებოდა ქართლის ცხოვრება.

იაკობ გოგებაშვილი წერს: „ამ სახელოვან მამულიშვილს რომ თავი არ გაემეტებინა, მეფეც დატყვევებული შეიქმნებოდა, ქვეყანაც აოხრებულნი; ბევრი დედა, ბევრი მეუღლე; ბევრი და-ძმა ატირდებოდა საქართველოში. თვითონ ეს მღვდელი თავისი ცოლ-შვილით საუკუნოდ წყაული და შეჩვენებული შეიქმნებოდა ყველასაგან და ისეთ სირცხვილში ჩავარდებოდა, რომ სიკვდილი ბევრჯერ სჯობდა იმისთანა სიცოცხლეს.“

ახლა? ახლა კი მეფე გამარჯვებული შეიქმნა, ქვეყანა გამრხნნილი, მტერი შემუსვრილი და მთელ საქართველოში სიხარული დატრიალდა, დაობლებულს-ცოლ-შვილს თავდადებულისა მეფე და ქვეყანა პატრონად და მფარველად აღმოუჩნდნენ და თვითონ თევდორე მღვდელმა მოიპოვა იმისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხევით იხსენიება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედამიწის ზურგზე ჩვენი ერი იცოცხლებს“.



პროკურორს რა მიგავს?! პროკურორი რომ ვყოფილიყავი... ჰმ!

— ჰო, რა ვიცი... ისეთი დამკითხვა დამიწყე, — მხრები აიჩეჩა კაკომ.

— განა ეს დაკითხვაა, შეილო? მე, უბრალოდ, მაინტერესებს რას ფიქრობთ...

— რაზე, პატივცემულო მასწავლებლო?

— დაცინვა იქით იყოს! — იწყინა მოხუცმა.

— როგორ გეკადრებათ!.. მე ისე... თქვენ ხომ ბრძანეთ, პედაგოგი ვიყავით?..

— დიახ, ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი.

— მაინც, რა გაინტერესებთ, პატივცემულო?

— ბევრი რამ... მაგრამ, ვფიქრობ, არა ღირს დიალოგის გამართვა აქ, შუაგულ ბაზარში... ისე კი, საინტერესო იყო, — მოხუცმა ნიკაბი მოიქაფა, თავი გვერდზე გადასწია და ცერად ახელდა კაკოს, — იყიდება კი ამ ფასად პამიდორი?

— იყიდებაო?! — გაიოცა კაკომ, — ნეტავი ორი ამდენი მომცა!.. აი, ახლა, კაცმა ხუთი კილო წაიღო... ქორწილებია, ძეობებია... სუფრა ხომ უნდა დამშვენდეს!

— პატარა სათბური გაქვთ? — გვეოფნის... კარგადაც გვეოფნის. ეგ შემინარჩუნონ, რაცა მაქვს, მეტი არ მინდა.

— რატომ, რატომ არ გინდა მეტი? ახლა თავისუფლად შეგიძლიათ იქონიოთ ერთის ნაცვლად ათი სათბური, ათი ჰექტარი მიწა, თუნდაც ოცი... რამდენსაც მოერევით და დაამუშავებთ... უკანონოდ გექცევით ვინმე? გლენებს ხომ სამუდამო სარგებლობაში გექცევით მიწა... მალე ალბათ ბლომად მოსავალს მოიყვანთ და პამიდორიც გაიაფდება...

კაკომ ჩაიციხა.

— რა გულუბრყვილო ყოფილხართ, ბიძაჩემო! იცი, სამჯერ დამინგრიეს სათბური. ძალს ისინი იყვნენ, ძალს მე. ბოლოს მაინც შევინარჩუნე... მე მეტი მიწა არ მინდა, მიწას რა თავში ვიხლი!.. დღეს მოგცემენ, ხვალ წავგართმევენ. ერთ დღესაც ჩვენს მთავრობას ხუშტურებ მოუვლის და ფიშტ! გეტყვის, ჩემი საქონელია, მინდა მოგცემ, მინდა — არაო. როცა მინდა მოგცემ, როცა მინდა ჩამოგართმევენ. ნამუსზე შეაგდებ? სადმე უჩივლებ? მოხუცს ქვედა ყბა აუთართოლდა. ეტყობა, რალაც უნდა ეთქვა. კაკოს მუშტარი მოადგა. მამაკაცი იყო, გაქუცული პალტო ეცვა. ძველი ფეხსაცმელი კარგახნის გაუწმენდავი ჰქონდა. ქუდი არ ეხურა, მელოტ თავზე ღერ-ღერად გადასდევდა კეფიდან გადმოტანილი ჭალარა თმა.

პამიდორის ფასი რომ შეიტყო, ხელები შემართა და დაიძახა:

— ავაშენა ღმერთმა! — ხელები დაუშვა, თავი მდაბლად დაუკრა კაკოს და სწრაფად გაშორდა.

— ხედავ, გაღირია კაცი, — მიმართა მოხუცმა კაკოს.

— გაღირიოს, რა ვქნა. ქვეყანა ჭრელია. ზოგი ქვეყანი ჩამოვიღის. ზოგიც გადარეული... მე რო ვყელას ავყვე!..

— მაინც, რაც არ უნდა იყოს... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ბერიკაცმა, მერე უცებ წამოსწია თავი და კაკოს მიაცივდა, — სამიათას ექვსასი! ვიანგარიშიათ, რა შემოსავალი გაქვთ თვეში? კაკომ ჩაიციხა.

— სწორედ არ ვიანგარიშია, ბიძაჩემო... სამიათას ექვსასი კი არა, ხუთიათასზე ცოტა მეტიც... თუ გინდა სწორად იცოდე, — თავმოძვინებ უპასუხა კაკომ.

მოხუცმა ვაოცებისაგან პირი დააღო.

— დიახ, ბატონო, ხუთიათასზე მეტი... აქვე ბაზრის შემოსავლელებში ჩემი ბიჭი ყვავილებს ყიდის. ისიც ხომ ფულოია?!

მოხუცმა შლიაპა მოიხადა, თავზე ხელი გადაისვა, მერე უცებ ჩამოიფხატა, სათვალეც შეისწორა, უკვე ცხვირის წვერზე რომ ჰქონდა, ჩამოვარდნაზე.

— რომელ ყვავილსა ყიდის, ვარდსა თუ ტიტას? — ისე იქითხა ბერიკაცმა, თითქოს ამისი გარკვევა აფიქრებდა.

— ერთსაც და მეორესაც.

— კარგია, კარგია... ნახვამდის, შეილო, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და ავაშენოთ!

მოხუცი ფეხების ფრატუნით გაშორდა. მის შემხედვარეს გულში ნაღველი ჩამეწვეთა, ისეთი შესაბრალოსი იყო მისი ჩამოყრილი მხრები, უძლურად ჩამოცვენილი ხელები, ნაღვლიანი სახე და ცხოვრებისაგან მოკლული გული!

დახლს მივეუახლოვდი.

— გამარჯობათ! — მივესალმე კაკოს და გავუღიმე.

არ გაღიმებია. როგორც მუშტარს, ისე შემავლო თვალი.

— კაკო ბრძანდებით, თუ არა ვცდები!.. — მორიდებით მიემართე.

— კაკო ვარ!

— წალამაშვილი?

— წალამაშვილი.

— ბიჭო, ვერ მიცანი? ნუ-თუ ისე გამოვეცვალე, რომ... შენ კი, დაგინახე თუ არა...

მაშინ კი დაკვირვებით შემომხედა, მიყურა თავისი ბრი-ალა თვალებით. ო, როგორ შერჩენოდა აღრინდელი სიმკვირცხლე გამოხედვაში! ჩუმად ვიდექი და ვუცდიდი, რო-

დის შემეცნობდა სახის თუნდაც ერთი რომელიმე შეუცვლელი ნაკვითი. ისეთი სახე მიიღო, ზუსტად ისეთი გამომეტყველება, ბიჭები რომ გამრავლების ტაბულაზე შეუჩნდებოდნენ ხოლმე.

— მერაბი ვარ, ბიჭო, კაკალაშვილი.

სახე უცებ შეეცვალა, გაიბადრა, ხელები გაშალა და ზედ გადმოემეხა.

— ვაჰმე, შენ შემოგვევლოს კაკო! როგორ გამოცვლილხარ, ბიჭო! — გულში ჩამიკრა, ჩამბურჯგნა, დამტორა და ჯიგრიანად ჩამკონა. მგონი მთელი ბაზრის ხალხი ჩვენ მოგვაჩერდა, იფიქრეს, ალბათ დიდი ხნის დაკარგული ძმები თუ შეხვდნენ ერთმანეთსო.

ხელები შემიშვა, ერთხელ კიდევ დამაკქერდა.

— თვალზე ლიბრი გადამეკრა, თუ რა ჯანდაბა დამემართა! შენი ჭირიმე, მერაბ! რამდენი ხანია მას აქეთ, ჰა!.. რა კარგი ბიჭობა გქვონდა, არა? წახველ და წახველ!.. ისე, კარგად კი გამოიყურები!..

მონოლოგი ერთმა მუშტარმა შეაწყვეტინა. ორი კილო პამიდორი აუწონა. ჯერ მცირე ვაჭრობა კი ჰქონდათ. ერთი მანეთიც არ დაუკლო. ეტყობა, მუშტარს ძალიან უნდოდა პამიდორი. არც სხვები უკლებდნენ და ისევ წალამაშვილის პამიდორი არჩია, ელფერით სხვათაგან გამორჩეული. ცეცხლის კიდებააო, რამდენჯერმე კი წაბურჯეყუნა, მაგრამ კაკომ ამასაც წაუყრუა, წაუყრუა, რადგან კაცს ახალი არაფერი უთქვამს. კაკო ბაზარში იმიტომ კი არ არის გამოსული, რომ საერთო მღვომარეობა არკვიოს, „ბაზრის ცეცხლი“ გაანელოს!.. გინდა? იყიდე! არ გინდა? გაიარე! აი, ბაზრის მარტივი და ყველასათვის გასაგები ფილოსოფია.

კაკომ ფული დათვალა, მოკეცა და ჯიბეში ჩაიღო. ისევ მე მომიბრუნდა.

— რა ხელობას ეწიე, როგორ ხარ, მერაბ?

— უცხო ენას ვასწავლი ინსტიტუტში. დოცენტად ვარ.

— თავიდანვე ნიჭიერი იყავი... როგორ გამახარე, ბიჭო! ვილაღ დაგვიდგა მახლობლად. კაკომ მიხედა.

— ეგ პამიდორი რამდენი გამოვა? — იკითხა.

— რა ვიცი, ავწონოთ... რაც გამოვა, აქ არ არი? — მიუგო კაკომ.

— ახლავე, მერაბ, ეს პატივცემული გავისტუმრო, — პამიდორი ჯამში ჩააწყო, სასწორზე შემოდგა და თეფშები გირებით გაათანასწორა.

— ორი კილო და შვიდასია, — თქვა კაკომ, — სამად გაგიხდი, ახლავე მოვიტან პამიდორს. აქვე მაქვს მანქანაში.

— არა, ეგ იყოს რაც არი. მეჩქარება. რამდენიმე წუთს შემიტოვებო, — თორმეტი წამითოთხრდა ფასი ხომ იცი, პატივცემულო?

— თქვი, რამდენი უნდა მოგცე-

— ოცდათორმეტი მანეთი და ორი აბაზი, — უმაღვე მიუანგარიშა კაკომ.

ლამის სულელივით გამეციხა. გამახსენდა მისგან გატანჯული არითმეტიკის მასწავლებელი. ვინ იცის, რას არ უწოდებდა თავის უნიჭო მოსწავლეს, ცხოვრებაში დაღუპულ კაცად მიანხდა, კარგს არას უწინასწარმეტყველებდა.

მუშტარი რომ გაისტუმრა, ისევ ჩემქენ ქნა პირი.

— ახლახან მოსულხარ საყიდლებზე...

ხელში, მართლაც არავითარი ნეავჭრი არ მეჭირა.

— საბურთალოზე ხორცი არ იყო და აქეთ წამოველ...

— ვარდივით ხორცი იყიდება... ხორცი არი, ბლომად არი. ხორცი კიდევ, ჩემო მერაბ, ახალი პამიდორიც მოუხდება... დამაცა, ახლავე აქ გავჩნდები!.. ისეთი პამიდორი უნდა ვაგატანო, ისეთი, რომა!.. ხო არ გეჩქარება? აქ დამიცა!

ფათიფუთით გაეარდა. ასევე ფათიფუთით ძალიან სწრაფად და ხენეშით მოიტანა ტილოთი თავმოკრული ვედრო. ქოშინებდა. ვედრო დახლზე შემოდგა, ტილო მოხსნა და პამიდორის წითელმა შუქმა რომ გამოიანათა, კაკომ ალტაცებით წამოიძახა:

— შეხე, რა ვარდივითა! პამიდორი კი არა, ოქროა, ოქრო! უპამიდვროდ როგორ გაგიშვებ, მერაბ! შენ ხომ ჩემი ჯიგარი ხარ, ჩემი ძმა და მეგობარი! ჰაი, დედასა, რა ბიჭები ვიყავით! — აქაქანდა, ვედროდან პამიდორის ამორჩევა დაიწყო, ჯერ დახლზე აწყობდა, მელაპარაკებოდა, პამიდორს კი თვალს არ აშორებდა.

ცივმა ოფლმა დამასხა. აღარ ვიციოდი რა მექნა. ფეშქაშად უნდა, თუ მოწყიდის? ვავიტრუნე და გულმა ბაგაბუგი დამიწყო.

შემომხედა.

— ახლა მითხარ, რამდენი ავიწონო?

ამან მთლად დამახინა. თუ ფეშქაშად მაძლევს, ამიწონოს რამდენიც ემეტება... თუ უნდა, რომ მოწყიდოს, მაშინ... არც ასეთი ყიდვა მინდა და არც ასეთი ფეშქაში... შარში გამაბა და ეგ არი. რახან არ იშლის, ორივე შემთხვევაში ისევ ერთი კილო ვამჭობინე.

— ერთი იყოს, კაკო.

(დასასრული 22-ე გვერდზე)

ორეულები, თვითმარქვიები თუ ისტორიული პირები

ყურაგომჭრილი კაცი

„მეფეთა მეფე“ კიროსის ვაჟი, სპარსეთის მეფე კიამბისი მრისხანე და შურისმაძიებელი პიროვნება გახლდათ. რადგანაც საკუთარი ძმის, ბარდიასი ეშინოდა, საიდუმლოდ მისი მოკვლა დაავალა ვილასას.

როდესაც ჩვ. წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში კამბისმა ეგვიპტე დაიპყრო, მის სიმკაცრეს საზღვარი არ ჰქონდა. იგი ტაძრებს ანგრევდა, წმინდა ცხოველებს ხოცავდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთები საჭირო მომენტს უცდიდნენ, რათა ამ მკრეხელზე შური ეძიათ. და აი, ეს მომენტიც დადგა — მოკლული ბარდია მკვდრეთით აღსდგა.

კამბისი ამ დროს ეგვიპტეში თავის მებრძოლებს შორის იმყოფებოდა, როცა სპარსეთიდან მალე მსრბოლი მოვიდა და აცნობა, ამერიდან არა კიროსის შვილს კამბისს, არამედ კიროსის შვილს ბარდიას ემორჩილებოდა ყველაფერი.

კამბისმა ყურებს არ დაუჭრა. ძრწოლითა და შიშით მოიხმო კაცი, რომელსაც თავის დროზე ბარდიას მოკვლა დაავალა.

— მაშ, ასე შეასრულე ჩემი ბრძანება?

— ო, მეფეო, ეს ცნობა ყალბია. ჩემი ხელით შევასრულე თქვენი ბრძანება და დავმარხე ბარდია.

კამბისი მოიღუშა. მხოლოდ მან და მკვლელმა იცოდნენ ბარდიას სიკვდილის შესახებ. ყველა დანარჩენისთვის კი სპარსეთის ტახტის მიმტაცებელი ნამდვილად კიროსის შვილი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ცხენზე შეჯდომისას, კამბისი თავისივე მახვილით შემთხვევით ფეხში დაიჭრა და მალე გარდაიცვალა კიდევ.

ამრიგად, მოკლული ბარდიას სახელის მიმტაცებელი სრულუფლებიან მეფედ იქცა. ამ ვებერთელა ქვეყნის ყველა ოლქი ერთიმეორის მიყოლებით აცხადებდა მისდამი მორჩილებას. არმია მისი დროშის ქვეშ დადგა.

ნახევარმა წელმა განვლო. სამეფოს ბაზრებსა და გზებზე ყველა მეფის სახელს ადიდებდა. მან თავისი ქვეშევრდომები სამი წლით გაათავისუფლა გადასახადებისა და სამხედრო ბეგარისაგან. მაგრამ ახალი მეფე რატომ არ გამოდის სასახლიდან, დიდებულთაგან რატომ არავის იღებს? ან იქნებ იგი ბარდია არც არის?

ერთ-ერთ კარისკაცს ეჭვი დაებადა: მეფის ხელისუფლების მიმტაცებელი მაგი გაუმატა ხომ არ არისო. მაგრამ თვით ეს აზრიც კი საშიში იყო ხმა-მალლა წარმოსათქმელად. ამ კარისკაცის ქალიშვილი მეფის პარამხანაში იყო და საჭურისის დახმარებით მას ბარათი შეუგზავნა.

— ფედიმა, შვილო ჩემო, — სწერდა მამა, — მართალია თუ არა, რომ შენი ახლანდელი ქმარი კიროსის შვილია?

— არ ვიცი, — უბასუხა ქალიშვილმა, — პარამხანაში ჩვენ უცხო მამაკაცებს ვერ ვხვდებით, ბარდია კი ადრე არასოდეს მინახავს.

მეორე დღეს საჭურისმა ახალი ბარათი წაიღო.

„თუ შენ თვითონ კიროსის შვილს არ იცნობ, — სწერდა მამა, — სხვა ცოლებს ჰკითხე“.

ქალიშვილმა უბასუხა, რომ სხვა ცოლებს ახლა ვერ შეხვდება, რადგანაც როგორც კი ეს კაცი მეფე გახდა, ყველანი დააშორა ერთმანეთს.

ეს უკვე მეტად უცნაური

იყო. მაგრამ გაუმატა ერთი ნიშნით შეიძლება გამოეცნოთ: რაღაც დანაშაულის გამო კიროსმა მას ყურები დააჭრა.

„როდესაც იგი დაიძინებს, — მისწერა მამამ თავის ქალიშვილს, — ყურები გაუსინჯე“.

დილით კარისკაცმა უკვე იცოდა, რომ მეფის სახელის ქვეშ მაგი გაუმატა იმალეზობდა. მეორე დღეს მის სახლში შეიღვეული შეიკრიბა. მათ შორის იყო მეფისნაცვლის ვაჟი-შვილი დარიოსი. საშინელი სიმართლის შეტყობინებისაგან ისინი დაიბნენ. ახლა გაუმატას წინააღმდეგ გამოსვლა მათ არ შეეძლოთ: არც ჯარი ჰყავდათ, არც ერთგული ხალხი. მაგრამ არც საქმის გადადება შეიძლებოდა; თუ გაუმატა შეთქმულების შესახებ შეიტყობდა, მათ საშინელი სიკვდილი ელოდათ. მაგრამ არა ყველას — ამბის პირველ მიმტანს მეფე შეიწყალებდა. ამიტომ თითოეული მათგანი, ალბათ აქედანვე მეფესთან გაიქცეოდა. ასე ფიქრობდა ყველა, მაგრამ არავის ხმა არ ამოუღია მანამდე, სანამ დარიოსმა არ დაილაპარაკა.

— ჩვენ დღესვე უნდა ვიმოქმედოთ, — თქვა მან, — თორემ იცოდეთ, მე ვიქნები გამცემი და ამას ვერავინ ვერ დაამსწრებთ!

ამრიგად, ერთმანეთთან შიშითა და უნდობლობით დაკავშირებული ეს შეიღვეული ცხენებზე ამხედრებული გაეშურა სასახლისაკენ. ისინი ყველანი დიდგვაროვანი იყვნენ და გაუშაგებს წინააღმდეგობა არ გაუწყვიტიათ, მაგრამ ეზოში მათ საჭურისები შემოეყარნენ, რომელთაც ხმლები იმიშვლეს. შეთქმულებმა სწრაფად ამოწყვიტეს ისინი და სასახლეში შეცვივდნენ. როდესაც მაგს ხმაური შემოესმა, მეზობელ ბნელ ოთახს მიაშურა. ერთი შეთქმულთაგანი დაეწია და დაეჭიდა. სიბნელეში ორივენი იატაკზე გორავდნენ. ხმალშემართული დარიოსიც იქვე იდგა, მაგრამ არ იცოდა, ამ სიბნელეში როგორ მოქცეულიყო.

— დაჰკარი მახვილი! — უყვიროდა შეთქმული.

— ბნელა, შეიძლება შენ დაგაზიანო!

— სულ ერთია, დაგვკარი ორივეს!..

დარიოსმა მახვილი მოიჭნია და მაგი მოკლა.

ასე გადმოგვეცემს ამ საოცარ ამბავს ჰეროდოტე. უკიდევანო სპარსეთის მეფე გახდა დარიოსი და ახლა თეირანსა და ბაღდადს შორის გზაზე კლდეზე ამოკვეთილი ეს ამბავი:

„დარიოსმა მოკლა მაგი და

მეფე გახდა“.

არტოუ მცირე ხანში მისი ძეები ჰყავდა რუსეთის ისტორიასაც.

ივანე მრისხანის ვაჟიშვილები

უგლიჩში მეფისწულ დიმიტრის უცნაური სიკვდილის (თუ მკვლელობის) ცნობამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამბობდნენ, მეფისწული გადარჩა და ბორის გოდუნოვის მომხრე თავადების შიშით საიმედო ხალხში იმალებაო. კაცი რომელიც თავის თავს „მეფისწულ დიმიტრის“ უწოდებდა, პოლონური მახვილის დახმარებით მოსკოვში შევიდა. ისტორიაში იგი ცრუ დიმიტრის სახელითაა ცნობილი. მაგრამ ლეგენდაც მისი სიკვდილთან ერთად როდი მომკვდარა. ამის შემდეგ გამოჩნდნენ ცრუ დიმიტრი II და ცრუ დიმიტრი III-ეც კი. ამასთან ყველა მათგანი თავს ასალებდა ერთსა და იმავე პიროვნებად — ივანე მრისხანის ვაჟად, მეფისწულ დიმიტრად.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო ცრუ დიმიტრის ცრუ ვაჟიშვილების გამოჩენა. 1644 წელს კონსტანტინეპოლში გამოჩნდა „მეფისწული ივანე დიმიტრის ძე“. მეორე, თითქოსდა ცრუ დიმიტრის ვაჟი-შვილი, გამოჩნდა პოლონეთშიც.


ამის შემდეგ უკვე ვასილ შუისკის დროს, ასტრახანში გამოჩნდა მეფისწული ავგუსტი. ვითომდა ივანე მრისხანის ვაჟიშვილი. მას კონკურენტულად გამოუჩნდა მეფისწულ ლავრენტის სახით. როგორც ივანე მრისხანის ვითომდა შვილი-შვილი. ამავე ხანებში ვოლგისპირეთის სტეპებში სოკოვბივით მომრავლდნენ „მეფისწულეები“ — უშვილო თევდორე ივანეს ძის ვაჟები: მეფისწული თევდორე, მეფისწული კლემენტი, მეფისწული საველი, მეფისწული სემიონი, მეფისწული ვასილი, მეფისწული ეროშა, მეფისწული გავრილა და მეფისწული მარტინი.


არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ სტეფანე რაზინის წინამძღოლობით მომხდარი გლეხთა აჯანყების პერიოდში თვითონ რაზინთან იმყოფებოდნენ თითქოსდა მეფე ალექსი მიხეილის ძის ვაჟიშვილი და ყალბი პატრიარქი ნიკონი.

პეტრე III-ის მრავალი სიცოცხლე

XVIII საუკუნე. რუსეთში არეულობაა. ომები. ვაგლეჯა, მოუსავლიანობა. სოფლებში წინასწარმეტყველნი დაძრწოდნენ და ქვეყნიერების დასას-

19316





რულის მოახლოებას იუწყებოდნენ. პეტერბურგიდან ფელდეგერები მოვიდნენ და მოიტანეს ბრძანება, რომ ყველამ ახალ მეფეს უნდა შეჭვივოს. ამბობდნენ, წინანდელი მეფე პეტრე III მოკლესო. იმასაც ამბობდნენ, მოკვდაო. მაგრამ უკვე ხმები დადიოდა: მეფე კი არ მოკვდა, ხალხში იმალება და შესაფერის დროს უცდის, რათა გამოგვეცხადოსო.

1765 წელს „მეფე“ მართლაც გამოეცხადა ხალხს, მაგრამ შეიპყრეს თუ არა, მაშინვე გამომქვადნა, რომ იგი გაქცეული ჯარისკაცი გავრილა კრემენევი იყო. იგი მხოლოდ გაროზგეს, დამლა დაადეს და ნერჩინსკში გადაასახლეს.

მაგრამ რაც უფრო მკაცრი იყო სასჯელი, საიდუმლოდ დამალული მეფისადმი რწმენა უფრო იზრდებოდა და როცა დონელმა კაზაკმა პუგაჩოვმა აჯანყება წამოიწყო, ბევრს იგი პეტრე III ეგონა. როდესაც მოსკოვში შინამოსამსახურეებს სჯიდნენ ხოლმე პუგაჩოვის ხსენებისათვის, ისინი მათრახის ქვეშ გაიძახოდნენ: „მეფე პეტრე თევდორეს ძე ცოცხალია“. მაგრამ შეთქმულთა მიერ ერთხელ მოკლულს და შემდეგ სახალხოდ დასჯილ პეტრე III-ეს ჯიუტად არ სურდა სიკვდილი.

გარდაცვლილი იმპერატორის აჩრდილი მთელ რუსეთში დააბიჯებდა და გლეხებშიც, კაზაკებშიც, სალდათებშიც ორულელებს იძენდა.

რუსეთის იმპერიის უკიდურესად სივრცე რომ არ ეყო, პეტრე III საზღვარგარეთ, ჩერნოგორიაში გამოჩნდა. „იგი საშუალო სიმაღლისა იყო, — წერდა ერთი მისი თანამედროვე, — ძვალმსხვილი, ფერმკრთალი, ნაყვავილარი სახით: ხშირი თმა შუბლს უფარავდა თვალებამდე“. ბევრი მას სტეფანედ იცნობდა.

ჩერნოგორია იმ დროს უდიდეს დაქსაქსულობას განიცდიდა და თითოეული გვაროვნული კავშირი ტახტზე თავისი კაცის აყვანას ესწრაფოდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა იმ მხარეში „რუსეთის მეფე პეტრე III“.

ვინმე კაპიტანი ტანოვიჩი, რომელიც პეტერბურგში იყო ნამყოფი და იქ პეტრე III ენახა, იფიცებოდა, ეს სტეფანედ წოდებული კაცი და პეტრე III ერთი და იგივეაო. ამასვე ამტკიცებდა ბერი თეოდოსი, რომელიც აგრეთვე იცნობდა პეტრე III-ეს. უკანასკნელი ექვებიც გაიფანტა, როცა ერთ-ერთ მომხრეებში რუსეთის იმპერატორის პორტ-

რეტი აღმოაჩინეს. მაშინ კი ნამდვილად დადგინდა, რომ „ასლი დედანთან სწორი იყო“. და აი, ჩერნოგორიელ ყველაზე პატივცემულ ადამიანთა დეპუტაცია სტეფანეს პატარა სახლის კარს მიადგა. მას სთხოვეს, ჩერნოგორიაში მეფობაზე დათანხმებულიყო. მის ადგილზე ვინმე ნაკლებავლენიანი ავანტიურისტი, ალბათ, მაშინვე დასთანხმდებოდა, მაგრამ სტეფანე — არა. მან დახია მისთვის მირთმეული თხოვნა: სანამ მტრობა და შური არ დაცხრება, მეფობაზე არ დაეთანხმდებიო.

დელეგატები უკან დაბრუნდნენ და სკუპშიჩინას ყველაფერი მოახსენეს. ამის შემდეგ უკვე აღარავის ეექვებოდა, რომ კაცი, რომელსაც ჩერნოგორიის მეფობა ელოდა, ნამდვილად რუსეთის იმპერატორი იყო.

1768 წლის იანვარში ქ. ცეტინიეში საერთო სახალხო კრების წინაშე სტეფანემ თავი გამოაცხადა რუსეთის მეფე პეტრე მესამედ, მაგრამ მოითხოვა არა მეფე, არამედ უბრალოდ სტეფანე დამიძახეთო. რუსი იმპერატორის პეტრე III-ის მმართველობა ჩერნოგორიაში ექვს წელს გაგრძელდა. ბოლოს იგი ნამძინარევი დაკლა ბერძენმა მსახურმა.

ამრიგად, არაერთხელ დადამლული, გამათრახებული დიციმბირში გადასახლებული „რუსეთის იმპერატორი“ პეტრე III მესამედ მოკვდა.

მაგრამ პეტრე III-ის ისტორია ამით არ მთავრდება. იმავე წელს ცვლავ გამოჩნდა კაცი, რომელიც თავის თავს პეტრე III-ს უწოდებდა. ამ სახელით მან 12 წლის განმავლობაში ევროპის მთელი რიგი ქვეყნები და ქალაქები შემოიარა. მიმოწერას აწარმოებდა მრავალ მონარქთან, მას სწერდნენ ვოლტერი და რუსო. ამ თვითმარქვიას ბედი სხვა პეტრე III-ის ბედზე უკეთესად არ წარმართულა. ყველა, ისევე, როგორც მათი ნამდვილი წინამორბედი, მოძალადის ხელით იღუპებოდა. უკანასკნელი „იმპერატორი“ კი ამსტერდამში დააპატიმრეს და ვენები გადაიჭრა.

პეტრე III-ის აჩრდილი სამუდამოდ ჩამოვიდა ისტორიის არენიდან.

ციმბირელი მოხუცი

ოფიციალური დოკუმენტები იტყობინებია, რომ იმპერატორი ალექსანდრე I გარდაიცვალა ტავანროვში 1825 წელს. მეორე ვერსია ამტკიცებს, თითქოს მან უარი თქვა ტახტზე, გაიპარა სასახლიდან და კიდევ ორმოც წელს იცხოვრა

ციმბირში თევდორე კუზმინის სახელით. ცნობილია, რომ ალექსანდრეს არაერთხელ გამოუთქვამს აზრი გადადგომასა და ცალკე ცხოვრებაზე. „26 წელიწად ვიმსახურე, — ამბობდა იგი, — ასეთი ვადის შემდეგ ჯარისკაცს სამსახურიდან უშვებენ“. მან კარგად იცოდა თავისი მემკვიდრის, პატივმოყვარე და სასტიკი ნიკოლოზის, შემდგომში ნიკოლოზ პირველის, ხასიათი. რაკი თვითონ მამის მკვლელობის შემდეგ ავიდა ტახტზე, ალექსანდრე საფრთხეს სწორედ შველისაგან ელოდა. მას ყველაზე მეტად მოწამვლისა ეშინოდა.

ყოველ შემთხვევაში, თუკი ალექსანდრეს ნამდვილად გადაწყვეტილი ჰქონდა ცალკე ცხოვრება, ტავანროვში ყოფნა მას კარგ საშუალებას აძლევდა. ალექსანდრეს მოულოდნელ ავადმყოფობასა და სიკვდილამდე რამდენიმე დღის წინ, ტავანროვში გარდაიცვალა ფელდეგერი მასკოვი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, გარეგნობით ძლიერ ჰგავდა ალექსანდრეს.

გარდაცვლილი იმპერატორი დახურული კუბოთი გადაასვენეს პეტერბურგში. შვიდი დღის განმავლობაში კუბო (კვლავ დახურული) ყაზანის ტაძარში იდგა. ოჯახის წევრებისათვის იგი მხოლოდ ერთხელ გახსნეს ღამით. ამბობდნენ, ალექსანდრეს დედამ შენიშნა, შვილს სახე შეეცვლიაო. ვასაკვირი არაა, რომ ყველა ეს უცნაური გარემოება მითქმა-მოთქმის საფუძვლად ქცეულიყო. ყველაზე მეტად მაინც იმას ამბობდნენ, იმპერატორის ნაცვლად სხვა კაცი დაკრძალესო.

გავიდა ათი წელი და აი, ციმბირში გადასახლებულ გლეხებს შორის გამოჩნდა ვიღაც მოხუცი თევდორე კუზმიჩი. იგი ყოველნაირად ცდილობდა, თავისი წარსული დაემალა, მაგრამ სამხედრო განსწავლულობა ბრწყინვალე განათლება, უცხო ენების ცოდნა გარშემომყოფთაგან აშკარად გამოარჩევდა. თანამედროვეთა მიერ ჩაწერილი მისი საუბრის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ შესანიშნავად ერკვეოდა პეტერბურგის უმაღლესი საზოგადოების ცხოვრებაში. ზოგიერთმა თევდორე კუზმიჩი იმპერატორ ალექსანდრე I-თან გააიგივა. ზოგიერთი, ვინც პირადად იცნობდა ალექსანდრეს, ვაოცებულნი იყვნენ მისი და თევდორე კუზმიჩის მსგავსებით. სიკვდილის წინ თევდორე კუზმიჩმა დატოვა დამიფრთხილი რალაც ქალაქები, რომელთაც, რო-

გორც თვითონ ამბობდა, ფარდა უნდა აეხადა მისი ცხოვრებისათვის. მაგრამ ეს შიშობი ვერავინ ასრულებდა. მისი დები დღემდე წაუკითხავია.

განთიადისას დახვრეტილი

ნუთუ ისტორიულ პირთა მეორე ცხოვრება ყოველთვის ვარაუდების, ლეგენდებისა და მითქმა-მოთქმის საკუთრებაა ხოლმე გვინდა, ვიამბოთ ნაპოლეონის მარშალ ნეის — „მამაკაცთაგან ყველაზე მამაცი“ (როგორც თვითონ ნაპოლეონი უწოდებდა მას) ბედის შესახებ.

როდესაც ნაპოლეონი საბოლოოდ დამარცხდა და წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, ლუდოვიკო XVIII-ის ბრძანებით მარშალი ნეი ლუქსემბურგის ბაღის კედელთან დახვრეტეს. თუ ისტორიულ დოკუმენტებს დავუჯერებთ, ეს მომხდარა 1815 წლის 7 დეკემბერს.

თბილი წლის შემდეგ ატლანტიკის მეორე მხარეს, ჩრდილოეთ კაროლინაში გამოჩნდა კაცი, რომელიც თავის თავს პეტრე სტიუარტ ნეის უწოდებდა. იმ ხანებში ამერიკაში ბევრი ფრანგი იყო — ყოფილი ბონაპარტისტები, რომლებიც ბურბონების რესტავრაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდნენ. ისინი აღფრთოვანებით ესალმებოდნენ ამ კაცს, როგორც მარშალ ნეის. როდესაც პოლონელი ოფიცერი ი. ლეხმანოვსკი, რომელიც ნაპოლეონის არმიის დიდხანს მსახურობდა, შემთხვევით შეხვდა მას ქუჩაში, თვალტრემიანი მივარდა და მოეხვია თავის „ყოფილ უფროსს“.

ოცდაშვიდი წლის განმავლობაში, სიკვდილამდე პეტრე ნეი მასწავლებლობდა და არავის გაუშინლა თავისი საიდუმლო.

ნეის პიროვნებით დაინტერესდა ცნობილი ექპერტი-კრიმინალისტი დ. კრავალი, რომლის დასკვნამაც დიდი როლი შეასრულა „დრეიფტისის საქმეში“. მარშალ ნეისა და მასწავლებელ ნეის ხელნაწერთა გულმოდგინე ექსპერტიზის საფუძველზე მან დაადგინა მათი სრული იგივეობა. მარშალის მიერ იმპერატორისადმი გავზავნილი წერილები და სასკოლო ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერები ერთი და იგივე ხელით იყო დაწერილი!

ისტორიული გამოცანა თითქოს გადაწყდა, მაგრამ არა საბოლოოდ. ექსპერტთა ნაწილი კარვალოს ამ დასკვნას არ ეთანხმება.

(დასასრული 28-ე გვერდზე)



პოეზიის მოყვარული მკითხველის ფსიქოლოგიას ერთი თვისება ახასიათებს: ლექსზე უფრო ის ნაცნობ სახელს ეტანება. მისთვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის სიტყვას ისმენს. ამიტომ მკითხველი, შეტყობილად, ეძებს არა ლექსს საერთოდ, არამედ საყვარელი პოეტის ლექსს.

მისთვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ ლაპარაკობს. რა თქმა უნდა, პოეზიაში მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რას ლაპარაკობს, ისევე როგორც იმას, თუ როგორ ლაპარაკობს პოეტი, მაგრამ ჩემი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ სად და როდის ამბობს თავის სათქმელს პოეტი.

აი, გასარჩევი ხედვის კუთხე, ფსიქოლოგიური ნიუანსი. სათვალმჩინო, საიდნაც უნდა შეფასდეს ქართული ემიგრაციის ღირსეული წარმომადგენლის, მოღვაწის, ქე-შმარიტი არქივარეის ბიჭი პოპოვიჩის ლექსები, ლექსები კაცისა, რომლის მთელი ცხოვრება, ზრუნვის საგანი, არსებობის საზრისი არის საქართველო, „ქართლის ჭირი“, ქართული სიტყვა, წიგნი, მოკლედ. „ბედი ქართლისა“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს ბატონმა გივიმ სხვა უნიკალურ მასალათა შორის, მოკრძალებულად გადმოშვა თავისი ლექსების კრებულიც, რომელიც გამოსაცემად მზადდება.

მის პიროვნებასა და შემოქმედებაზე უფრო ვრცლად მომავალში მექნება ლაპარაკი. ამჯერად „დროშის“ მკითხველს გაშინიად ვთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს.

გიორგი ბაჩჩილაძე



ბიჭი პოპოვიჩი

თეთრი ბიორგი

დიდება შენდა, ძლიერო ღმერთო და შენ მფარველო ქართული მიწის: თეთრო გიორგი, სულს შენაერთო, გწამდეს სიწმინდე ქართული ფიცის. ჩვენი დიდება არის სამშობლო და ქართველობა ჩვენი სახელი. თავს საამაყო შარავანდედათ შოთა რუსთველის გვადგას ნათელი. ჩვენ არ ვართ მარტო, ჩვენთან არს ღმერთი, ჩვენზედ ღალატებს ცით ანგელოზი, ერს წინ მიუძღვის თეთრი გიორგი, მარად მფარველი საქართველოსი. თეთრო გიორგი, წარმართე ერი და განუახლე დიდება ძველი, შემოუბრუნე ცხოვრების კევრი, მიაპყარ მისკენ კურთხევით ხელი. დიდება შენდა, ძლიერო ღმერთო და შენ მფარველო ქართული მიწის: თეთრო გიორგი სულს შენაერთო, გწამდეს სიწმინდე ქართული ფიცის.

1948 წ. მაისი.

ვუსტრაუ (რუპინის მაზრა).

ავტორის შენიშვნა:

ამ სიტყვებზედ დაწერა დ. კახაძემ მუხიკა: „ჩვენთან არს ღმერთი“. 1948 წ. 26 მაისს ქართული საზოგადოების წინ ქართულმა ხორომ შეასრულა იგი. შემდეგ ხშირად მღეროდნენ ქართველნი.

ვედრება

ოთხი წელი თითქოს ძილში ვიყავი, ძილში ვიყავ თითქოს მთელი წლოვით, მკერდზე მძიმედ დადებული ლოდით! ღმერთო, ღმერთო, მოწყალეა მიყავი, ვარსკვლავებო, გადმოხედეთ გრძნობით...

22 სექტემბერი, 1945 წ.

ალსფელდი, ზემო პესენი, გერმანია.

პაროსტინაჰი

ნიკორწმინდას

ნანას მღეროდა დედა, აკვანს მირწვედა ბებო. იასამნების დაბლა ეზო ხალიჩად ეგო, კარიდან ჩანდა ქედი, მწვანე შაორის ველი, ოდის ღირეზე მქისედ ბზინავდა პაპის ცელი.

როცა შებინდა, მთებმა წამოიფარეს რიდე, წყალმა დაჰკარგა ფერი, — „ნუ დაღვე, მოერიდე, მავნეა, რადგან ძინავს“, ასე ამბობდა ბებო, იასამნების მაღლაც ეზო ხალიჩად ეგო. ნაქერალიდან ნიავს გამოეგზავნა ჯარი, დედამ ჩურჩულით მითხრა: „შვილო, გწერია ჯვარი, ამიერიდან მცველად გყავდეს ნიკოლოზ-წმინდა...“
სიცოცხლე გქონდეს გრძელი, სხვა არაფერი მინდა“...

9 დეკემბერი 1968. ვაშინგტონი.

რაჭა

როგორც ნაბდებით ფლოქვაკრული ლურჯა ცხენები, ასე მიფრინავს უხმაუროდ ჩემი ცხოვრება! კირიმე შენი, ხშირად ძილში მომეჩვენები, ავახელ თვალსა, და ცრემლები ჩამეტბორება...

25 მარტი, 1948 წ. მიუნხენი.

რაჭველი ოსტატი

ლურჯ გუმბათზე აღამალე ჯვარი და გულსავსე ჩამოხველი დაბლა, ცას შეჭხედე — სახე გქონდა წყნარი — და სთქვი: „ღმერთო, არ მიგრძენია დალლა... მე ხომ შენთვის ვაშენებდი საყდარს, ქრისტე ჩემგან მიითვალე ესე, და შემინდე მე, უბრალო მოკვდავს, შენს წინაშე თუ რამ ცოდვა ვთესე“.
კარიბჭეზე შემოადგი კიბე და სარტყელზე რაღაც წაწერე, შევებით, ტკბილად ღიღინებდი კიდევ ხელოსანი გულში მოსიმღერე... ძირს დასულმა აიხედე ზევით და წარწერას გაუღიმე თითქოს.

ჩუქურთმებში სული დაუძლევი იღვრებოდა სანთელად და სითბოდ. სასოებით ჯვარი გადისახე, ქუთუთოზე დაგეკიდა ცრემლი, ოხ, რა წმინდა გქონდა ოსტატს სახე, რანაირი ნათელი და წრფელი... ხელეჩოს ტარს სისველე აქვს ნამის, დამშეული საქმეს ელის ახალს. კვლავ აპხედე, იქ ეწერა: „ამის ამგებია ენუქიძე მალხაზ“...

მარტი, 1945 წ. ბერლინი.

ბინდი

სიცოცხლე ბინდმა მოიცვა, ვაჰმე, რად ჰქრება ნათელი, გულო, არ შედრკე, მოიცა, იყავ უდრეკი და მრთელი. „სოფელი ბინდის ფერია, უფრო და უფრო ბინდდება“, იმღერე, რაც გიმღერია, ნურაფრის შეგეშინდება; სიბნელე არაფერია, როცა მზე გამობრწყინდება, გიყვარდეს ნაზი ფერია, სიცოცხლე ნუ მოგწყინდება. ეგებ მოვიდეს დროიცა, აღინთოს შვების სანთელი და სამშობლოში ჩავიდეთ გამარჯვებულნი, ტანმრთელნი. გულო, ხარ სიმჩაწყვეტილი, ალი გედება მწველია, ფიცარზე ამოკვეთილი ერი გყავს საფიცველია. მძიმეა ეს გაკვეთილი მაგრამ უფალი მცველია, „ბოროტსა დასძლევს კეთილი, არსება მისი გრძელია...“

მარტი, 1945. ბერლინი.

თუმცა საუცხოო, მზიანი და-
რი იდგა — ოქროთი დაფერი-
ლი ლაქვარდოვანი ცა და სი-
ნათლის დიდი ლაქები თეთრი
ღვინოსავით გადღვრილიყო
ქალაქის პარკზე, მის ბრილს
უხაროდა, რომ ბეწვის გაკე-
თება გადაწყვიტა. პაერი არ იძ-
როდა, მაგრამ როცა პირს გა-
აღებდით, ოდნავ სუსხი გცემ-
დათ, რალაც იმის მსგავსი,
სანამ ერთ ყლუბს მოსვამდე,
ჩაცეცილებული წყლით სავსე ჭი-
ქასთან. მიახლოებისას რომ
იგრძნობ და ზოგჯერ აქა-იქ
გეგონებოდა არსაიდან, იქნებ
ციდანაც მოფარფარებდნენ ფოთოლი
ცვიოდა. მის ბრილმა ხელი ას-
წია და თავის ბეწვს შეახო. სა-
ყვარელი, პატარა არსება! რა
სასიამოვნო იყო კვლავ მისი
შეხება. ბეწვი დღეს ამოიღო
ყუთიდან, ნაფტალინი ჩამო-
ფერთხა, კარგად გაწმინდა.
ისე გააპრიალა, პატარა ბინდ-
დაკრულ თვალებს სიცოცხლე
დაუბრუნა. „ეს რა დღეში ვი-
ყავით?“ — ეკითხებოდნენ პა-
ტარა სევდიანი თვალები. ოჰ,
რა სასიამოვნო იყო მათი
კვლავ დანახვა, ცქვიტად რომ
შემოჰყურებდნენ წითელი გერ-
მის ზემოდან!... მაგრამ ცხვირი,
რომელიც რალაცა შეიხსნებდა
იყო გაკეთებული, ძლივს
ეკიდა. ეტყობა უნებლეთ
რალაცას მოარტყა. არაფერია,
ერთი ბეწო ლუქის წასმა
ეყოფა, როცა დრო მოვა,
როცა აუცილებლად იქნება
საჭირო... ო, ეს პატარა გაიძ-
ვერა! დიანაც. აბა სხვა რა უნ-
და უწოდოს. პატარა თალი-
თი, ზუსტად მის მარცხენა ყურ-
თან ახლოს თავის კულს რომ
ჩაფრენია კბილებით. ძალიან
მოჭნდა ყელიდან მოხსნა, კა-
ლთაში ჩაედო, ხელი გადაეს-
ვა და ნაზად მოფერებოდა.
ხელებში ოდნავ თრთოლა იგრ-
ძნო — ალბათ სიარულის
ბრალით, გაიფიქრა. ყოველ
ამოსუნთქვაზე რალაც მსუბუ-
ქი და ნაღვლიანი, არა, ნაღვ-
ლიანი არა, რალაც ნაზი და სა-
თუთი გულს უკუმშავდა.

დღეს დიდძალი ხალხი იყო
გამოსული სასეირნოდ, გაცი-
ლებით მეტი, ვიდრე გასულ
კვირას. ორკესტრიც უფრო
ზმამალა და მზიარულად უკ-
რავდა. ეს იმიტომ, რომ სეზონი
გაიხსნა. ორკესტრი თუმცა
კვირაობით მთელი წლის გან-
მავლობაში უკრავდა, მაგრამ
სეზონი დაიხურებოდა თუ არა,
მაშინვე ყველაფერი იცვლე-
ბოდა, თითქოს თავისი ოჯახის
წევრებისათვის უკრავდნენ, თუ
უცხო მსმენელი არ ჰყავდათ.
კარგი დაკვრით თავს არავინ
იწუხებდა. მგონი დირიჟორიც
ახალ პიჯაკში იყო გამოწყო-

ბილი. რა თქმა უნდა, მის
ბრილს ამაში ეჭვიც არ ეპარე-
ბოდა.

დირიჟორი ფეხს მუსიკის
ტაქტს აყოლებდა და ხელებს
საყვილელად გამზადებული
ფრთაგაშლილი მამალივით იქ-
ნევდა. მწვანე, მრგვალ ესტ-
რადზე მსხდომი ორკესტრან-
ტები წამდაუწუმ ლოყებს ბე-
რავდნენ და ნოტებს თვალ-
ჩაყვებით შესცქეროდნენ. აი
ფლეიტისათვის განკუთვნილი
პატარა ნაწყვეტი, რა მშვენიე-
რია! თითქოს მძივად ასხმუ-
ლი მოციმციმე ნამის წვეთე-
ბია. დარწმუნებულად იყო კი-
დევე უნდა გაემეორებინათ. მარ-
თლაც გაიმეორეს. მის ბრილ-
მა თავი ასწია და გაიღიმა.

მის მიერ საგანგებოდ „არ-
ჩეულ“ სკამზე მხოლოდ ორ-
ნი ისხდნენ — მოხუცები: მოხ-
დენილი გარეგნობის ზვერ-
დის ქურთუკიანი მამაკაცი,
რომელიც ორივე ხელით მო-
ჩქურთმებულ ხელჯოხს დაყ-
რდებოდა და ტანსრული ქა-
ლი, რომელსაც საქსოვი და-
ქარგულ წინსაფარზე დაედო
და წელგამართული იჯდა. ისი-
ნი არ ლაპარაკობდნენ. მის
ბრილმა მოიწყინა, სულმოუ-
თქმელად ელოდა, მისი მეზო-
ბლები როდის ალაპარაკდებო-
დნენ. ფიქრობდა, რომ საკმა-
ოდ დაოსტატდა მალულად
სხვისი ლაპარაკის მოსმენაში
— თავი ისე ეჭირა, თითქოს
ბაიბურთავი არ იყო. სინამ-
დვილში კი ასე, სულ მცირე
ერთი წუთით მაინც იხედუ-
ბოდა მის გვერდით მსხმობა
ცხოვრებაში.

გვერდით მჯდომ მოხუც
წყვილს ირიბად გახედა. ნე-
ტავ მალე წავიდოდნენ. გასუ-
ლი კვირაც არ იყო ისე საინ-
ტერესო, როგორც ჩვეულებ-
ისამებრ არის ხოლმე. ამჯე-
რად სკამზე ინგლისელი და
მისი მეუღლე ისხდნენ. კაცს
თავზე რალაც სამაგელი პა-
ნამა ეხურა, ცოლს დილე-
ბიანი ფეხსაცმელი ეცვა. ქალი
გაუთავებლად სულ იმაზე ლა-
პარაკობდა, რომ აუცილებლად
პენსნე უნდა ეტარებინა. უთუ-
ოდ ძალიან სჭირდებოდა. მა-
გრამ რა აზრი ჰქონდა, რომც
ეშოვა. დარწმუნებული იყო,
ან გაუტყდებოდა ან კიდევ
ცხვირზე ჩამოუტყრებოდა.
კაცი საოცრად მომთმენი გა-
მოდგა. რა არა — ხან ოქროს
ჩარჩო, ხან სათვალე, ხან სა-
თვალის ხიდის ქვეშ გასაყე-
თებელი პატარა რბილი შუა-
სადები შესთავაზა. მაგრამ
ამოდ. ცოლის გული ვერა-
ფრით ვერ მოიგო. „სულ ერ-
თია ყოველთვის ცხვირზე ჩა-
მომიტყრდება!“ — დაიქინა



მოხუცობა

ქალმა. მის ბრილს ძალიან მო-
უნდა, მისთვის ერთი კარგად
ეთავაზებინა.

მოხუცები ისევე ქანდაკებასა-
ვით გაუნძრევლად ისხდნენ
სკამზე. არა უშავს, ხალხს აქ
რა გამოლევს საყურებლად
და სასიერნოდ. ყვავილის გა-
ზონებისა და ესტრადის წინ,
სადაც ორკესტრი უკრავ-
და, მოსეირნები წყვილ-
წყვილად და ჯგუფ-ჯგუფად
აქეთ-იქით მიმოდრიდნენ, ხან
ერთმანეთის მოსაკითხად და
სამასალათოდ შეჩერდებოდნენ.
მერე ბებერი მაწინწალისაგან,
რომელსაც თავისი ხონჩა ბა-
ლის ვალავანზე გამოეფი-
ნა, ერთ კონა ყვავილს იყიდ-
დნენ. პატარა ბავშვები სირ-
ბილითა და ცელქობით იქაუ-
რობას იკლებდნენ, გამგელვებს
მოულოდნელად ეჯახებოდნენ
და იცინოდნენ. ბიჭუნებს გულ-
ზე დიდი, თეთრი აბრეშუმის
ბაბთები ეკეთათ, გოგონები
კი, ნამდვილი პატარა ფრანგუ-
ლი თოჯინები, ზვერდსა და
მაქმანიან კაბებში იყვნენ გა-
მოწყობილნი. ზოგჯერ ხეების
ჩრდილიდან მოულოდნელად,
ჯერ კიდევ მუხლგაუმარებე-
ლი ერთი ციდა ბუთხუზა ბავ-
ში ბარბაცით გამობაჯბაჯდებო-
და, გაჩერდებოდა, გაოცებუ-
ლი მიიხედ-მოიხედავდა და
ტყაბ, უცბად ზღართანს მოა-
დენდა. ამ დროს მორთულ-
მოკაშმული და ახალგაზრდა
კრუხვით აქოთქოთებული დე-
და შვილის ფეხზე წამოსაყე-
ნებლად მოვარდებოდა ტუს-
ტუსით. სხვები გრძელ მერ-
ხებზე და მწვანე სკამებზე
ისხდნენ. აქ კვირაობით ყო-
ველთვის უცვლელად სულ ერ-
თი და იგივე ხალხი იკრიბებო-
და და მის ბრილი თითქმის
ყველა მათგანში ხშირად რა-
ღაც განსაკუთრებით თავისე-
ბურს და სასაცილოს ხედავ-
და.

ცხოვრებაში კენტად დარ-
ჩენილი, მდუმარე, უცნაური
გამომეტყველების, ასაკით გა-
თელილი მოხუცები ისე იყუ-

რებოდნენ, გეგონებოდა ბნე-
ლი, ვიწრო ოთახებიდან ან იქ-
ნებ განჩინებიდანაც თითქოს
ეს-ესაა გამოძვრენო.

ესტრადის უკან ყვითელფო-
თლებჩამომჭკნარი ტანკენარი
ხეები, მათ შორის მხოლოდ
ზღვის ზოლი და იმის მიღმა
ცა და მასზე ოქროსფერი სნი-
ვებით დაქარგული ღრუბლე-
ბი მოჩანდა.

ცუმა-რამა ტამ ტარარამ!
ტამ ტარარამ! ცუმა რამა,
ცუმა-ცუმა! — უკრავდა ორ-
კესტრი.

მოცქრიალდა წითელკაბი-
ანი ორი გოგონა, მათ ცისფერ
ფორმაში გამოწყობილი ორი
ახალგაზრდა ჩარისკაცი შე-
ეგება. იცინეს, იკისკისეს, და
ხელიხელგაყრილები დაწყვილ-
დნენ და გზას გაუდგნენ. ჩამო-
იარა ორმა გლეხის ქალმა, თავ-
ზე სასაცილო ჩალის ქუდები
ეხურათ და თოქზე გამობმუ-
ლი კოხტა, ბოლისფერი ჩოჩ-
რები დინჯად მოჰყავდათ. ფა-
ციფუციტ ჩაიქროლა მშვიდი
სახის ფერმკრთალმა მონაზონ-
მა. მშვენიერ მანდილოსანს
გავლისას იების კონა დაუ-
ვარდა. პატარა ბიჭმა მიირ-
ბინა, მიწიდან ყვავილები აი-
ლო, ქალს დაეწია და მიაწოდა.
ქალმა ყვავილები გამოართვა
და ისე გამეტებით მოისროლა,
თითქოს იები მოწამლულნი
იყვნენ. ღმერთო! მისის ბრილ-
მა აღარც კი იცოდა ქალის ეს
საქციელი მოეწონებინა თუ
არა. ახლა აგერ სწორედ მის
პირდაპირ ყარყუმის შლიაა
და ნაცრისფერ ტანსაცმელში
გამოწყობილი ჯენტლმენი შე-
ხდნენ ერთმანეთს. კაცი მა-
ლალი, მედიდური და თავ-
მომწონე ჩანდა. ქალს ყარ-
ყუმის შლიაა ეხურა, ოქ-
როსფერად რომ უბზინავდა
თმები, ჯერ კიდევ მაშინდელი
ნაყიდი. ახლა კი ყველაფერს,
მის თმას, სახეს, თვალბსაც
კი, გაქუთული ყარყუმის ფერი
დასდებოდა და გაწმენდილ
ხელთათმანში გამოკვართული,
ტუჩების შესაღებად აწეული



მოსულიყო, ვინმე შეამჩნევდა. ის ხომ სპექტაკლის განუყოფელი ნაწილია. რა საოცარია. რატომ ამდენხანს არასდროს არ უფიქრია ამაზე. ახლა მისთვის ნათელია, რატომ გამოდის სახლიდან ყოველ კვირა დღეს ერთი და იგივე დროს — ეშინია სპექტაკლზე არ დაავიანდეს. ახლა ისიც გასაგებია, რატომ შეიპყრობს ხოლმე ასე თავებრუნდამხვევი მღელვარება და უცნაური მორცხვობა, როცა თავის მოწაფეებს, რომელთა ინგლისურს ასწავლის, უყვება როგორ ატარებს კვირა დღეს. არც არის გასაკვირი! მის ბრილმა კინალამ ხმამაღლა გაიცინა. იგი სცენაზე თამაშობს. ის ავადმყოფი მოხუცი ჯენტლმენი გაახსენდა, ბაღში ჩაძინებულს ნაშუადღევს, კვირაში ოთხჯერ გაზეთს რომ უკითხავდა. ის უკვე ძალიან შეეჩვია ბამბის ბალიშზე უმწეოდ დასვენებული თავის, ჩაცვივებული თვალების, დაღებული პირისა და შიმშილისაგან გაწვირებული ცხვირის ყურებას. მოხუცი რომ მომკვდარიყო, მის ბრილი კვირების განმავლობაში ვერც კი შეამჩნევდა. არც მიაქცევდა ყურადღებას. მაგრამ მოხუცმა უეცრად იგრძნო, რომ გაზეთს მსახიობი ქალი უკითხავდა! „მსახიობი ქალი!“ ჭაღარა თავი წამოიწია. ჩამქრალ თვალებში ორი სხივი აკიაფდა. „თქვენ მსახიობი ხართ?“ მის ბრილმა გაზეთი ხელით ჩაასწორა, თითქოს მანუქკრიფტს კითხულობდა. რომელზეც მისი როლი ეწერა და წყნარად თქვა: „დიახ მე დიდი ხანია მსახიობი ვარ“.

ორკესტრი ისვენებდა, მაგრამ აი ახლა ისე დაიწყეს დაკვრა და რასაც ისინი უკრავდნენ, საოცრად თბილი და მზიანი იყო — თუმცა ოდნავ სუსხი მაინც იგრძნობოდა — ნეტავ, ეს რა იყო? ნაღველი არა — არა, სევდა არა, რაღაც ისეთი, სიმღერას რომ მოგანდომებს. მელოდია მომძლავრდა, აზვირთდა, სინათლე თვალისმომკვრელად აკიაფდა. და მის ბრილს მოეჩვენა, რომ კიდევ ერთი წამი და ყველანი მთელი საზოგადოება ერთად ამღერდებოდა. ახალგაზრდები დაიწყებდნენ — აი ისინი, დაწყვილებულნი რომ იცინიან და კისკისებენ. მერე სიმღერას მამაკაცთა ძლიან გაბედული და ვაჟკაციური ხმები აიტაცებენ და შემდეგ კი თითონაც და მერხებზე მსხდომნიც შეუერთდებიან, თითქოს აკომპანიმენტიან — ძლივს გასაგონად, ხან ოდნავ ხმამაღლი და ხან ოდნავ ხმადაბალი, ასე მშვენიერი და ამაღლებელი... და მის ბრილმა მომძლი-

მარე სახით, ცრემლებით სავსე თვალებით ყველას შეხედა. და, დიახ, ჩვენ გვესმის — ფიქრობდა იგი, თუმცა რა ესმოდათ, კარგად არ იცოდა.

სწორედ ამ დროს ქალ-ვაჟი მოვიდა და სადაც მოხუცი წყვილი იჯდა, იქ დაჯდა. მშვენივრად იყვნენ გამოწყობილნი. ერთმანეთი უყვარდათ. რაღა თქმა უნდა, სპექტაკლის მთავარი მოქმედი პირნი იყვნენ, ვაჟის მამის იახტიდან ეს-ესაა დაბრუნებულნი. და ჯერ ისევ გულში უხმოდ ამღერებულნი, მთრთოლვარე ლილით გასხვივონებული მის ბრილი, მოსასმენად მოემზადა.

„არა, ახლა არა“, თქვა ქალმა, „აქ არა, აქ არ შემოძლია“.

„რატომ, ეგერ რომ ზის იმ გამოტვივებული ბებრუცანას გამო?“ ჰკითხა ვაჟმა.

„ნეტავ აქ რას მოეთრეოდა, ვის რაში სჭირდება?“ „ვერ დაეცა სახლში თავისი დამანქული სიფათით? უყურე, რა სასაცილო ბეწვი აქვს“, — ახითხითდა ქალი. „სწორედ რომ შემწვარი მერლანგია“.

„ოჰ, მოსწყვი ერთი თავიდან!“ — გაბრაზებით წაისისინა ვაჟმა. „შემდეგ ქალს მიუბრუნდა: მითხარი, ჩემო საყვარელო...“

— არა, აქ არა. — თქვა ქალმა, „ჯერ არა!“

სახლში დაბრუნებისას ჩვეულებისამებრ საფუნთუშეში თაფლის კვერს ყიდულობდა ხოლმე. ეს მისი საკვირაო ნუგბარი იყო. ზოგჯერ კვერის ნაჭერში ნუშისგული იდო, ზოგჯერ კი არა. ეს სულ სხვა რამ იყო. თუ თაფლის კვერში ნუშისგული შეხვდებოდა, კითომც სახლში პატარა საჩუქარი მიეიტანოს. ნუშისგული ერთგვარი სიურპრიზი იყო. ისეთი რამ, რაც სრულიად შესაძლებელია. სულაც არ ყოფილიყო. ნუშისგულიან კვირადღეებში სახლში სულმოუთქმელად გარბოდა, ასანთს სულსწრაფად გაჰკრავდა და ჩაიდანს შემოდგამდა.

დღეს კი საფუნთუშეს ცივად ჩაუარა, კიბე აათავა, პატარა ბნელ ოთახში — თავის განჩინისმავარ სოროში შევიდა და წითელი გერმის საბანზე ჩამოჯდა. დიდხანს გაუნძრევლად იჯდა. ყუთი, საიდანაც ბეწვი ამოიღო, საწოლზე ეგდო. ბეწვის ყელსაბამი სასწრაფოდ მოიხსნა. სწრაფად, ისე, არც კი შეუხედა, ისევ ყუთში ჩააგდო. მაგრამ, როცა ყუთს თავზე ახურავდა, მოეჩვენა, თითქოს ვიღაც ატირდა.

ბელი პატარა ყვითელ თათს მიუგავდა. ოჰ, როგორ გაუხარდა კაცის დანახვა. თვალეგაბრწყინებული ალტაცებით შესცივინებდა. გულისგულში ფიქრობდა, რომ ნაშუადღევს აუცილებლად შეხვდებოდნენ ერთმანეთს. სულმოუთქმელად მოუყვა. თუ სადმე იყო დღეს, ყველგან — აქაც, იქაც, ზღვის სანაპიროზეც. მართლაც მშვენიერი დღე იყო. იქნებ უარი არ ეთქვა და ერთად...? მაგრამ კაცმა თავი გადააქნია, სიგარეტს მოუკიდა, ქალს კვამლი ნება-ნება პირდაპირ სახეში შეაბოლა და თუმცა ქალი ისევ ლაპარაკს და სიცილს განაგრძობდა. კაცმა ჩამქრალ ასანთს წიკბურტი ჰკრა და გზა განაგრძო. ყარყუმის შლიაპა მარტო დარჩა. როგორც არასდროს, ისე მხიარულად და ხალისიანად გაიღმა. მაგრამ ორკესტრიც კი მიხვდა ახლა, რას გრძნობდა ქალი და უფრო დევრა. რბილად, ნაზად იწყო ნაკვრა. „პირუტყვი“, „მხეცი“, — გამუდმებით უკრავდა დოლი. ნეტავ, რას იზამს? ნეტავ, ახლა რა მოხდება? სანამ მის ბრილი ამაზე ბკობდა, ყარყუმის შლიაპა შებრუნდა, ხელი ისე ასწია, თითქოს იქ, სადაც შორს ვიღაც სხვა დაინახა, მისთვის ბევრად უფრო

სასურველი და ფეხების ბაკუნით გზას გაუყვა. ორკესტრმა როგორც არასდროს, ისე სწრაფად და მხიარულად იწყო დაკვრა. მის ბრილის სკამზე მსხდომი მოხუცი წყვილი წამოდგა და მწყობრი ნაბიჯით იქაურობას გაეცალა. უცნაური. გრძელქოშებიანი მოხუცი კაცი. მუსიკის ტაქტს აყოლილი კოჭლობით რომ მიტუტუტუებდა. მწყრივად მომავალმა ოთხმა გოგონამ კინალამ წააქცია.

ოჰ, რა შესანიშნავია! რა დიდ საამოვნებას ჰკვირის! როგორ უყვარს აქ ჯდომა და ყოველივე ამის ყურება! ეს ყველაფერი სპექტაკლს ჰგავდა სწორედ. თითქოს მართლაც თეატრში ხარ. ვინ დაიჯერებს იქ, უკან. ცა დახატული არ იყოს? მაგრამ მაშინ, როცა პატარა მურა ძალი გატუნცულ-გამოცუნცულდა ნამდვილი „თეატრის“ პატარა გაწვრთნილი ფინიასავით — მხოლოდ მაშინ მიხვდა, თუ რა იყო ასე ამაღლებელი და წარმტაცი. ყველანი სცენაზე იყვნენ, ისინი სპექტაკლის სანახავად მოსული აუდიტორია კი არა, სათამაშოდ მოსული მსახიობები არიან. მასაც კი, მის ბრილს, თავისი საკუთარი როლი ჰქონდა და ყოველ კვირა დღეს ამ როლის სათამაშოდ მოდიოდა. უეჭველია, რომ არ

ფრანგულიდან თარგმანა
ნანა კოპალეიშვილი



გერმანული ბერტოლუჩი

49 წლის იტალიელი რეჟისორი ბერტოლუჩი ბერტოლუჩი წლებულ კანის ფესტივალის ეიურის თავმჯდომარე იქნება.

60-იანი წლების დასაწყისში მან მოიპოვა უდიდესი პოპულარობა, როგორც პოეტმა. შემდეგ თავისი კარიერა განაგრძო კინემატოგრაფიაში და გახდა პანორამის თანაშემწე.

პირველი მისი დამოუკიდებელი ფილმი „გაძვალტუპებული ნათლიდედა“ სადაც მხოლოდ მოყვარული მსახიობები თამაშობდნენ, ბერტოლუჩიმ 1962 წელს გადაიღო. 1968 წელს კრიტიკის უფრადღება მიიპყრო მისმა „პარტიზანოზა“, რომელიც შეიქმნა დოსტოევსკის „ორიულის“ მიხედვით. დანარჩენი ფილმების წყალობით („კონფორმისტი“ და „უკანასკნელი ტანგო პარიზში“), რომელთაც მსოფლიოს უკელა ეკრანი მოიარეს, ბერტოლუჩიმ კინემატოგრაფიაში მჭიდროდ ადგილი დაიკავა. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კინემატოგრაფიაში მისი კინოეპოპეა „მეოცე საუკუნე“, სადაც რეჟისორი ასახავს ამ საუკუნის პირველი ნახევრის იტალიის ისტორიის ფართო სურათს. ასევე დიდი წარმატებით გადაიღო მისი „უკანასკნელი იმპერატორი“, რომელიც ეძღვნება ჩინეთის ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო პერიოდს. ფილმი „ოსკარიტ“ დაკლიდოვდა.

ბერტოლუჩის ჰყავს უმცროსი ძმა — ჯუსტინე, ისიც ასევე იღებს საინტერესო ფილმებს. ისინი ერთხანს ერთადაც კი მუშაობდნენ.

არსებობს მშრალი და მრტებდა

ესპანელი პოეტი ქალი როსარიო მურილიო დე ორტეგა ოციციალურ ცერემონიებზე თავის მეუღლესთან, ნიკარაგუას ყოფილ პრეზიდენტთან — დანიელ ორტეგას გვერდით იყო პრეზიდენტის არჩევნებში დამარცხების დროსაც.

მაგრამ ამჟამად პრესა იუწყება ამ მშვენიერი ოჯახის განხეთქილებაზე.

პოეტმა ქალმა ინტერვიუში განაცხადა: „არ ვიცი, შესაძლებელია ხვალ ან ზეგ ჩვენ გავცილდეთ. თუმცა ვერც კი წარმომიდგენია ეს როგორ მოხდება — ჩვენი ქორწინება ხომ კანონიერი არ იყო“.

მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება 39 წლის ასაკში არც თუ ისე იოლია. განსაკუთრებით როცა მხრებზე გაწვეს ერთად ცხოვრების რამდენიმე წელი (ახლანდელი მონაცემებით მათ 7 შვილი ჰყავთ).

მურილიო დაიბადა შეძლებულ ოჯახში. განათლება ინგლისსა და შვეიცარიაში მიიღო. 1969 წელს აქტიურად ჩაება იატაკქვეშეთა სანდისტის ფრონტში. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მან საზოგადოებრივი საქმიანობა განაგრძო. მისმა რამდენიმე კრებულმა მიიღო აღიარება. გატაცებულია მავით.

უცნაური განქორწინება

ჯანინი და ფერნანი დაქორწინდნენ 37 წლის წინ. ამ წინს განმავლობაში ცოლი თვალს ზუჯავდა ქმრის თამბაქოსადმი ძლიერ სიყვარულზე. ქმრის დღიური ნორმა თანდათან იზრდებოდა და საუენსოო ასაკისათვის მიადწია ერთნახევარ კოლოფს.

მათი ურთიერთობა განსაკუთრებით მას მერე გამწვავდა, როცა ფერნანი მთელი დღეების განმავლობაში სახლში იჯდა. სამსახურიდან დაბრუნებულ დღეში დალილი ჯანინს კვამლში გახვეული ქმარი ხვდებოდა და მოთმინებიდან გამოდიოდა. მან საბოლოოდ გადაწყვიტა. გაჰყროდა ქმარს.

როგორც ჯანინის ადვოკატმა აღნიშნა „ქალს არ შეეძლო ეცხოვრა“ ასეთ ატმოსფეროში. სასამართლომ, რომელიც შედგა საფრანგეთის ქალაქ დუეში. მიიღო რა მხედველობაში ქალის ზიზღი თამბაქოს კვამლისადმი. გაურის გადაწყვეტილება გამოიტანა.

კურიოზი პოლიციიზმი

ნიუ-იორკის ერთ-ერთი საპოლიციო სამსახურის უფროსი ლუის რეიფორდი იქდა თავის კაბინეტში და პირად იარაღს ათვალთვრებდა. იგი იმდენად გაიტაცა ამ საქმიანობამ, რომ უნებლიეთ ხელი სახსლტეს დააკირა.

როცა შემინებული პოლიციელები შემოვიარდნენ რეიფორდის კაბინეტში, მათ სავარძელში მშვიდად მჯდომი უფროსი აღმოაჩინეს, რომელსაც ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ხოლო ტყვეა, რომელიც მოულოდნელად გავარდა იარაღიდან, გავიდა კედელში, რომლის იქითაც უფროსის თანაშემწის კაბინეტი იყო და გახვრიტა სკამზე გადაკიდებული თანაშემწის პიჯაკი, თვითონ თანაშემწე კი გასული იყო, თორემ უნებდურება დატრიალდებოდა.

უფროსმა გადაწყვიტა, დაესაჯა თავისი თავი იმისათვის, რომ მან დაარღვია ბრძანება იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ, და 2 მილიონი დოლარით დაიჯარიმა თავისი თავი. თუმცა ამ მკაცრ გადაწყვეტილებას მეტად სკეპტიკურად შეხვდნენ ადგილობრივი ურნახლისტები, რადგანაც მისი წლიური შემოსავალი 50-ჯერ მეტია.

ჯონ ლენონის კედელი

ჯონ ლენონის კედელი განეკუთვნება სოფლის დირსშესანიშნაობებს. იგი აღმართულია გრაფ იგნატიევის ქუჩაზე. მის ახლოს წლის ყოველ დროს აწევია უვაილები. აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა. უწყვეტ ნაკადად მოედინებიან სოფლის მცხოვრებნი, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები. ლეგენდარული მუსიკოსისა და მომღერლის ჯონ ლენონის თაყვანისმცემლები.

ამ დღეებში აქ განსაკუთრებული ხალხმრავლობაა: 9 ოქტომბერს მას შეუსრულდებოდა 50 წელი, ხოლო 8 დეკემბერს 10 წელი იმ დღიდან, როცა

ვილც მანიაკის ტყვეობაში იქნებოდა. ესტრადის მოყვარულნი იყვნენ მისი ცოლები. „ჩვენ ყოველთვის ვიყვარებთ“; „ჯონ ლენონი — მსოფლიო პიროვნებაა“, „მუდამ ბითლზთან“ — ჯონ ლენონისადმი ამგვარი სიყვარულით სავსეა ფურცლები, რომელიც მიკრულია კედელზე. მას წერენ არამართო ახალგაზრდები, არამედ მუსიკოსის თანამოასაკენი, „ბითლზმანები“.

უმრავლესობისთვის ჯონ ლენონი არის პირადი თავისუფლების, სიმართლისა და სამართლიანობის სიმბოლო.

აზიში გვიდრამითი ალსდება

„ეს მე ვარ — ფატი აბდელ აზიზი“ — ამ სიტყვებით შეხვდნენ კიროს მცხოვრებნი პოლიციელებს, რომლებიც მასთან ბინაში მივიდნენ, რათა გამოეხატათ თანაგრძნობა აზიზის მეუღლისათვის და საქმოდ სოლიდური თანხა გადაეცათ.

45 ათასი რიალი გადაუხადა საულის არაბეთის მთავრობამ ავტოკრატს. ტროფაში დაღუპული ფატი აზიზ აბდელის ოჯახს. ეს ტრაგიკული შემთხვევა რა თქმა უნდა ექვს არ იწვევდა. კიროში გაგზავნეს მიცვალებულის პასპორტი და სხვა დოკუმენტები და ასეთ დროს „მიცვალებულის“ პოლიციელებთან შეხვედრამ ეს უკანასკნელი შეაბრტო.

საფუძვლიანი გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ აზიზი არავითარ ავარიში არ მოხვედრილა. მისი საბუთებით, რომელიც აზიზს 3 წლის წინ დაეკარგა, საზღვარგარეთ წავიდა სულ სხვა მოქალაქე. ამ მოქალაქეს ვინაობას გამოძიება ადგენს.

მანქანა ბანდი

„ინდირა განდი მასწავლიდა: რაც არ უნდა მოხდეს, არ გადაუხვიო არჩეულ გზას“ — ამბობს 34 წლის მანქანა განდი, რომელიც ინდოეთის ბუენოს აიესის მინისტრია. „ასი წლის შემდეგ არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, ვინ დაიკვებს ამ პოსტს, მთავრია იყოს სუფთა წყალი“ — ასეთია მისი კრედო.

1974 წელს ცნობილი მანქენი, ინდოეთის არმიის პოლკოვნიკის ქალიშ-

მარტივი არითმეტიკა (დასასრული)

— შენ შემოგვევლოს შენი ძმა!.. შენ ჩემი ჯივარი ხარ! როგორ გამახარე! აქამდე მაინც რატომ არ შეგხვდი კაცო?!. ალბათ დეზერტირებში სულ არ შემოდიხარ...

— ზოგჯერ ცოლი დადის ხოლმე... მე საბურთალოზე...

— ის რა ბაზარია. ბაზარი ეს არი, დეზერტირები, — ამბობდა კაკო და გადარჩეულ პამიდორს ახლა ჯამში აწყობ-

და. თან ენას არ აჩერებდა. არც არავისი ერიდებოდა, ისე მესიყვარულებოდა.

სასწორის ცალ მხარეს ერთ-კილოიანი გირი იღო. პამიდორმა დასძლია.

— ორს აგიწონი, კაცო... ერთი რა არი, — ორკილოიან გირს ხელი წაავლო კაკომ.

— ერთი კილო გვეყოფა, კაკო, ხილად ესეც საქმარისია.

— ეე, შენსას არ იშლი!.. ჯამიდან ორი ზედმეტი პამიდორი ამოიღო. მაინც კილოზე ცოტა მეტი მოვიდა, ისეც მო-

აკლო ახლა გირმა გადასძლია. პამიდორი ისევე ჯამში ჩააბრუნა და ხელი ჩაიქნია.

— ალალი იყოს შენზე. ჯამი სასწორიდან გადმოიღო.

ვიგრძენი, რომ ცივმა ოფლმა ტანზედაც დამახსხა. ახლა რა ვქნა, მადლობა გადაუხადო და ჩანთაში ჩავიწყო ნაჩუქარი პამიდორი თუ... ჯიბეზე წავივლე ხელი. კაკო ჩუმად მომაჩერდა. ერთი ოცდახუთმანეთიანი მედო ჯიბეში. ამოვიღე და გაუწოლე.

— თვალი დაუდგეს გაკირ-

ვებას, — თქვა კაკომ ახლა კი ხმადაბლა, — შენ ფულს როგორ უნდა გართმევდე, მაგრამ...

ფული გამომართვა. თავის დასტა ფულს მიუმატა. დასტადან სამი ხუთმანეთიანი გამოაძრო და გადმომიტვალა.

— სხვას თორმეტად... შენ ხომ ჩემი ჯივარი ხარ... შენ ათად გაძლევ!

— ?!

რომ ვთქვა, კაკო წალამაშვილი უტყინო იყო-მეთქი, დამიჯერებ?



ვილი — მანუკა ანანდი ცოლად გააყვა ინდოა განდის უმცროს ვაჟს — სანჯათ განდის. ეს იყო ბედნიერი წყვილი. მაგრამ 8 წლის შემდეგ სანჯათ დაიღუპა ავტოკატასტროფაში: ამას მოჰყვა განხეთქილება დედამთლიდან. მანუკა ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. იგი შევიდა პრემიერ-მინისტრის სინგნომის მიერ ჩამოყალიბებულ პარტიასი და გახდა მისი გენერალური მდივანი. საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შემდეგ აღმოჩნდა ერთადერთი ქალი მთავრობაში.

ინგლისელი ნაპოლეონის ბრძოლაში

ლონდონში ნაციონალურ არმიელთა მუზეუმში დგას ნაპოლეონის ფავარული ცხენის — მარენგოს ფიგურა. ამ ცხენით გავიდა იგი საბრძოლველად ვატერლოოს მინდორზე. ეს არის საბრძოლო ცხენების გამოყენების ძირითადი ექსპონატი, რომელიც წელიწადს — ცხენის წელიწადს გაიხსნა ლონდონში. ხოლო მის გვერდით უსარმაზარი სურათი ჰქვია, ზედ მარენგოსე ახედრებული სარდალია გამოსახული. სურათი შეიქმნა 1821 წელს, ვატერლოოს ბრძოლიდან 8 წლის შემდეგ.

მუზეუმის კონსულტანტის ქულიან სანდერსის თქმით ნაპოლეონმა ცხენი ეგვიპტეში შეიძინა და ერთ-ერთ იტალიურ ქალაქთან გამარჯვების პატივსაცემად მარენგო დაარქვა. მაგრამ არის დამამტყიცებელი საბუთი იმისა, რომ მარენგო ინგლისური ჯიშისაა და ინგლისელი სარდლის კომენდაგენის ცხენი მარენგოს ნათესავად ერგებოდა.

მაკაბა პინოშანტიპოსნი

ინდოეთის ქალაქ ფატეხპურის კინოთეატრი უამრავ მაყურებელს იზიდავს. ასეთი ხალხმრავლობა მსოფლიო კინოვარსკვლავების თამაშით როდია გამოწვეული. აქ ჩვეულებრივი ინდური ფილმები გადის, რომლითაც ინდოელ მაყურებელს ვერ გააკვირვებ. პოპულარობა კინოთეატრს ერთმა მისმა უცნაურმა მაყურებელმა მოუტანა. ეს არის ჩვეულებრივი მამიანი, რომელიც ყოველ საღამოს მოდის კინოთეატრში, იკავებს თავის ადგილს იარუსზე და თვალს არ აშორებს ეკრანს.

ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმა-რობდა, რათა „უცნაური“ სტუმარი გაეგლო, მაგრამ მისი თავიდან მოშორება არც ისე იოლი აღმოჩნდა. იგი ძალით შემოდის დარბაზში და საქმიად აკურათულად იქცევა, ამიტომ მის იქ ყოფნას შეეჩვივნენ. ამასთან, მაიმუნკინოფანატის ცოცხალი რეკლამა გახდა კინოთეატრისათვის და საქმიად დიდი მოგება მოუტანა მას.

ბასსემლოტბაველი შაშვანი

ინდოეთის ქალაქ ლამის მიურუებულ ქუჩაზე დარბაზი ფირმა „რომელისა“, რომელმაც პარფიუმერიის გამოშვება დაიწყო. ფირმა საპარფიუმერიო მაქალაში ყალბ ნივთიერებებს ურევდა, ხოლო რეკლამისათვის ცნობილი ფრანგული ფირმების სახელწოდებებს ითვისებდა.

პარფიუმერიაში შემავალი ყველა ნივთი (საღებავები წამწამებისათვის, შამპუნები, ლოსიონები და სხვა), იუდეობდა ევრეთწოდებულ შავ ბაზარზე. ვინ იცის, სანამდე გაგრძელდებოდა ამ ყალბი ნივთიერებების გასაღება, რომ არა პოლიციაში შემოსული საჩივრები. ფირმის მიერ გამოშვებული „ფრანგულმა“ შამპუნმა ერთი ქალბატონის გამელოტება გამოიწვია. ერთს კი საღებავი წამწამები დაცვივდა.

გამოძიება დიდხანს არ გაგრძელდებულა, მათთვის ყველა ფაქტი ცნობილი გახდა. ფირმის წარმომადგენლები მალე წარდგებიან სასამართლოს წინაშე და პასუხს აბეგენ ყალბი კონტრბანდის გასაღებისა და ადამიანებისათვის ჯანმრთელობის განადგურებისათვის.

წვივანის ავტობრავში

პარილის მზიანი დღია კინაღამ საბედისწერო შეიქნა 31 წლის მარკ ფლემინგისათვის (ავსტრალიელი ვინდსერფინგის მოყვარული). როცა იგი პლაჟს უახლოვდებოდა, შეიტაკა წვივანს. ფლემინგი ოსტატურად დაუსხლტა მტაცებელს, მაგრამ მისგან მიღებული შოკი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ საჭირო შეიქნა ექიმების ჩარევა.

ინგლისურიდან თარგმანად ინო ლორთქიანისიქამ

ორეულები, თვითმარქვიები თუ ისტორიული პირები

(დასასრული) ნაპოლეონის ორეული

ექვს იწვევს აგრეთვე თვითონ ნაპოლეონის ცხოვრების ბოლო პერიოდს. ჩვენთვის ახლა გაუგებარია, რისთვის ინახავდა თავის ამალაში საფრანგეთის იმპერატორის საკუთარ ორეულს. ეს იყო ვინმე ფრანსუა ეჟენ რობო, რომელსაც საოცარი მსგავსების გამო „იმპერატორს“ ეძახდნენ.

როდესაც ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, რობო თავის სოფელში დაბრუნდა, მაგრამ სამეფო პოლიციის მინისტრმა მას სპეციალური აგენტი მიუჩინა. 1818 წლის შემოდგომაზე რობო მოულოდნელად საღამო გაქრა. სამეფო პოლიციის ყველა ცდა, მისი კვლისათვის მიეგნოთ, ამო გამოდგა.

ამ საქმეში სამეფო პოლიციისთან შედარებით ბედმა გაუღიმა უკვე შემდგომი დროის ისტორიკოსებს. რობოს სოფლის საეკლესიო არქივში მის შესახებ შემონახულია შემდეგი ჩანაწერი: „დაიბადა ამ

ტერა ინკომენიტა

ევროპელი სოციოლოგები ერთობ დააფიქრა მამაკაცის უფლებათა დაცვისათვის მებრძოლის პრესაში გახმაურებულმა ფრაზამ: „თუ ვინმეს უნდა ხელმოცარული ადამიანი წარმოახინოს, იგი უთუოდ მამაკაცია; მხდალი გნებავთ ან ბრიყვი? ისევე მამაკაცი იცნობს კი ვინმე მამაკაცს.“

ეს მართლაც ასეა. დღეს მამაკაცი წარმოდგენს „ტერა ინკომენიტას“. სუსტი სქესის მეცნიერული კვლევა კი საუკუნეზე მეტს ითვლის, ათასობით ტომი ეძღვნება ქალის ყოველმხრივ შესწავლას, მამაკაცი კვლავ გამოუცნობ და იღუშალ არსებად დარჩა.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ქალების ბრალია, რადგან მათ წარმოსახვაში გაშუღებით ცოცხლობს იდეალური მამაკაცი, რომელსაც არასოდეს არაფერი არ უნდა შეეშალოს და ამათ. ცხადია, არაერთი შეცდომისკენ უბიძგებს მას. განა თავად მამაკაცს არ უნდა იდეალური იყოს? მაგრამ იგი ადამიანია და არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის, თუმცე ქალი უფრო მომთხოვნია, ვიდრე მამაკაცი რადგან მისი ოცნების გმირი უნდა იყოს პათოსანიც, გამგებიაიც, ფიზიკურადაც ძლიერი, ფსიქიკურადაც გაწონასწორებულიც, მეოჯახეც, ფანტაზიორიც, ყოველგვარი სიძნელის გამამლახავიც... და რაც მთავარია, ინტელექტუალური.

ცხადია, უძიმეს მამაკაცს წემოთხამოთვლილი ყველა პირობის დაცვა, დროსაც თავისი ძალა აქვს. იგი თანდათან კარგავს ბუნებრიობას. ლეგენდა ოჯახის წვერიან მამამთავარზე ისტორიას ჩაბარდა. ახლანდელი მამები შეიღებოვით იქცევიან — ატარებენ გრძელ თმას, იცვამენ ჩინებს, დადიან დისკოთეკებზე. ასეთი მამა შეიძლება გაეყვარდეს, მაგრამ სერიოზულად ვერ აღიქვამს, მით უფრო, თუ მის გარეშე იზრდები. არადა, ზ. ფროლი თვლიდა, რომ შვილის აღზრდის პროცესში მამა გადაწყვეტს როლს თამაშობს, რადგან მისი წყალობითაა შესაძლებელი სქესთა იდენტიფიკაცია. მასთან ხანგრძლივი განშორება ან უმისოდ აღზრდა ბავშვში იწვევს ფსიქი-

კურ დესტრუქციას, ადამიანებთან ურთიერთობის შიშსა და გულჩახსნაკობას. თუმცე ეპოქამ მოიტანა გულჩახსნაკობის შიშად შევხვდებით მარტოხელა მამებს, პოლონეთში 150 ათასი მარტოხელა მამაა. მათ უკეთესი მატერიალური პირობები აქვთ, ვიდრე მარტოხელა დედებს, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი არიან, მაგრამ უმთავრესი პრობლემა, რაც მარტოხელა მამებს აწუხებთ და რასაც ვერ ძალავენ, მარტოობის გრძობაა უყოლობის გამო.

უდავოა, რომ მამაკაცისათვის ცოლი მეტად „სასარგებლოა“, ამას მოწმობს სიკვდილიანობის სტატისტიკა. მარტოხელა მამაკაცი (ქვრივები და განქორწინებულები) დიდხანს ვერ ცოცხლობენ. ისინი ვერ უძღვებიან ცხოვრებას. მეცნიერულმა კვლევამაც დაადასტურა, რომ ცოლიანი მამაკაცი უფრო კმაყოფილი არიან ცხოვრებისა და წარმატებებს აღწევენ სამსახურში, ვიდრე ბერბივები.

შემავლოთებლად გაიზარდა მამაკაცთა სიკვდილიანობა 25-დან 59 წლის ასაკამდე. ხომ არ დადგა დრო, ახლა ჩვენ ვეცადოთ გავუღამაზოთ მამაკაცებს ცხოვრება? მაგრამ ჭერ საჭიროა შევისწავლოთ ისინი. ამ მხრივ ამერიკელებმა უკვე თქვეს პირველი სიტყვა და მათ შეატარეს უნივერსიტეტის სასწავლო საგნებს ახალი დაუშატეს — მამაკაცის შესწავლა.

მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად შეიცარიელი მეცნიერები საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ: ქალებს საშუალოდ ერთი საათით მეტი სძინავთ, ვიდრე მამაკაცებს. ხოლო რაც შეეხება სიწმრებს, ისინი ყველაზე ხანმოკლე — მისხსა და ივისისა, ყველაზე ხანგრძლივი — სექტემბერსა და ოქტომბერში.

ქალს, რომელიც ყოველდღიურად ოის ან მეტ ფინჯან ყავას სვამს, ბევრად მეტი შანსი აქვს გახდეს დედა ვიდრე ის, ვინც საერთოდ არ ეყარება ამ სასმელს. ამ დასკვნამდე მივიდნენ პარვარდის უნივერსიტეტის მედიკოსები.

თარგმანად ნუნუ ბელაქამ



თამარ მეფის მეცხეთა ჰოროსკოპი

საყოველთაოდ ცნობილია ქართველი ხალხის უსაყვარლესი მეფის თამარის ოთხი პორტრეტი: ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში (შესრულებული მისივე თანამედროვე მხატვრის გიორგი კარის მიერ 1204—1205 წ.წ.), ბეთანიაში — 1207 წ., ყინწვისში — გიორგი ლაშას თანამესაყდრედ კურთხევისას 1207 წ. და ბერთუბანში — 1213 წ.

ამათ გარდა, არსებობს თამარის ნაკლებადცნობილი ერთი საინტერესო ფერადი პორტრეტი, დახატული მუყაოზე (ზომით 71x52 სმ), შესრულებული ოთხ ფერში სვეტიცხოვლის ტაძრის ფონზე, აქვს წარწერა — **თამარ მეფე**. პორტრეტის ქვემოთ

მარცხენა მხარეს წარწერაა წითელი საღებავით — **სრპს**. რაც მხატვრის ვინაობას უნდა აღნიშნავდეს.

შეითხველთა წახალისების მიზნით ჟურნალ „კვალის“ რედაქციის თამარ მეფის პორტრეტი დაუწესებია. ასე, მაგალითად: „კვალის“ 1894 წლის № 39 პირველ გვერდზე წერია: „კვალის“ რედაქციის მიერ 1894 წლის დიდი სურათი თამარ დედოფლისა, სამეფო ტანსაცმელში დახატული, ფერადი წამლებით, უკვე გაიგზავნა საზღვარგარეთ (იგულისხმება გასამრავლებლად) და დღური-გდება წლის ბოლოს მხოლოდ იმ ხელისმომწერლებს, რომელთაც წლის ფული სრულიად ექნებათ შემოტანილი“.

1895 წ. 9 აპრილის № 16-ში „კვალმა“ ისევ ამცნო ხელმომწერლებს, რომ თამარ მეფის პორტრეტი უკვე მიიღეს.

1895 წლის მაისში ჟურნალ „კვალის“ პრემია ჩილდოდ მიუღია თბილისელ მოქალაქეს — მზარეულ დიმიტრი ბესარიონის ძე გნოლიძეს. ამჟამად ეს პორტრეტი ინახება თბილისში (ხუდადოვის ქ. № 3) დიმიტრი (ნუგზარ) ბესარიონის ძე გნოლიძესთან — შემოხსენებული მზარეულის შვილიშვილთან.

ამ პორტრეტის მიხედვით მოქსოვილია 12 მეტრი სიგრძის ნოხი, რომელიც ირგვლივ მორთულია ყვავილების ორნამენტებით. ნოხის შუა ნაწილში გამოსახულია თამარ მეფე 4 მეტრის სიმაღლით სვეტიცხოვლის ფონზე. ზედა ნაწილში ხუთსვეტიანი რუსულენოვანი წარწერა გვამცნობს, რომ ნოხი ხელით მოუქსოვია ზემოხოდაშენელ ქალიშვილს თებრო გელდიაშვილს 1910-1914 წლებში.

ეს ძვირფასი ნოხი ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების ბოლომდე ინახებოდა ოჭურგეთის სოფელ შრომის მეგობრობის მუზეუმში. შემდეგ იგი დაძველებულა, დაძეძილა და გადაუგდიათ. ამჟამად მისი მხოლოდ სურათია შემორჩენილი, რომელსაც აქვე ვთავაზობთ.

გორის კანდელაკი


ქროსკოდი

თარგმანად: 1. ხანთი, ლაშარი; 6. საფრანგეთის კინოთეატრი, სადაც 1988 წელს უჩვენებდნენ ქართულ ფილმებს; 7. ინგლისელი ქართველოლოგი და მთარგმნელი ქალი; 11. ვერდის ოპერა; 12. ბერძენი ქალი, პირველი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი და ექიმი; 13. თავზარი; 16. სახალისოდ, გამოსაცდელად აღებული მასალის მცირე ნაწილი; 17. მეტრული მუსიკალური ერთეული; 19. კარის ლაშქრის ნაწილი; 20. ფრანგი მწერალი; 21. ღიად დაღობული სივრცე ნაგებობაში; 27. ვინმეზე გაწეული შრომა; 28. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 29. მოშლილი პურის ღეროები; 30. მექსიკის ტერიტორიაზე ენობრივად მონათესავე ინდიელი ხალხების ჯგუფი; 31. ცენტრალური დამცველი ფეხბურთში; 34. ისრაელ-საქართველოს კულტურულ და მეგობრულ ურთიერთობათა საზოგადოების პერიოდული ორგანო. 35. ჰორიზონტალური კოორდინატი კოორდინატთა სწორკუთხა ბრტყელ სისტემაში; 36. მხარე გერმანიაში; 37. ქართველი ფეხბურთელი.

შპეულად: 2. ფირი; 3. რბილი საგები; 4. XVIII საუკუნის იტალიელი დრამატურგი; 5. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 8. შუა საუკუნეებში გავრცელებული სახალხო თეატრის სახეობა; 9. ერთგვარი სათამაშო დასტა; 10. ნახევრად ლეგარული ტერორისტული ორგანიზაცია; 14. ისტორიული სლავური ოლქი მდ. ოდრის ზემო და შუა წელზე; 15. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; 17. ქალ-ვაჟის საღონური ნელტემპიანი ცეკვა; 19. მოდების საღონი თბილისში; 22. ინდოელი კოსმონავტი; 23. სანახაობა, წარმოდგენა; 24. სათავანებელი პიროვნება; 25. პათევოყვარეობა; 26. ხელდახელი თქმული ლექსი, ექსპრომტი; 32. პუჩინის ოპერა; 33. მადრიდის ფეხბურთელთა გუნდი.

შეადგინა ციალა ავაშუაქელვა.

გარეკანის პირველ გვერდზე: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II. ფოტო ბონდო დადვამისა. მეოთხე გვერდზე: თამარ მეფის შიკოპი. მხატვარი ირაკლი ბარნაბიშვილი. ოთარ ცქვიტინიძის ფერადი სლაიდი.



გადაეცა წარმოებას 12. 11. 90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 01. 91. ქალაქის ზომა 70x108¹/₂. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით, ფიზიკური ფურცელი 3. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაში 5,99. ტირაჟი 54 000. შეკვეთა 2686. ფასი 35 კაპ. 380096. თბილისი, კოსტავას ქ. № 14. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მღვივანის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 99-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ინდექსი 76056

6 263 / 20

ეროვნული
ბიბლიოთეკა

